# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 7 ივლისი 2000 №128 (1150) | ფასი 50 თეთრი


# გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო




REUTERS ლონდონიდან

ზეპ ბლატერი

## ფრანც ბეკენბაუერმა ჰეთ თრიკი შეასრულა

— დოიჩლანდ! — გამოაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. გერმანია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფიფას აღმასკომის 24 წევრიდან 12-მა მას მისცა ხმა, 11-მა სამხრეთ აფრიკას, ხოლო ერთმა თავი შეიკავა.

ფრანც ბეკენბაუერმა კი ჰეთ თრიკი შეასრულა. 1974 წელს იგი მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი გახდა, 1990 წელს როგორც მწვრთნელმა იზეიმა პირველობა, ხოლო გუშინ, 2000 წლის 6 ივლისს, მისი ხელმძღვანელობით გერმანელებმა ერთხელაც გაიმარჯვეს მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში.

იხილეთ მეხუთე გვერდი



REUTERS ლონდონიდან

ფრანც ბეკენბაუერი

# ვინუსს მინუს სერენა


ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან




რა არის მამის გული?! ვერა და ვერ შეძლო რიჩარდ უილიამსმა იმის ყურება, თუ როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს მისი გოგონები უიმბლდონის ნახევარფინალში. კორტზე საერთოდ არ მისულა და თამაშის დაწყებიდან საათნახევრის მერეღა შეიტყო, რომ უფროსმა დამ ვინუსმა 6:2, 7:6 (7:3) მოუგო უმცროსს, სერენას და კარიერაში მეორედ გააღწია დიდი სლემის ტურნირის ფინალში. პირველად ეს ვინუსმა 1997 წელს, ამერიკის ღია პირველობაზე შეძლო.

ვინუს უილიამსის მეტოქე ფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი იქნება. ლინდსიმ 17 წლის ავსტრალიელი ელენა დოკიჩი 6:4, 6:2 დაჩაგრა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ვინუს უილიამსი



REUTERS ლონდონიდან

## ქართველებს ტრაპატონი ელის

წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა იტალიელებთან. პერუჯაში „სკუადრა აძურას" არიგო საკი წვრთნიდა, თბილისში კი გუნდი ჩეზარე მალდინიმ ჩამოიყვანა.

ტრადიცია არ ირღვევა. საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ ციკლში მეტოქედ კვლავაც მწვრთნელნაცვალი იტალია ელის. ოქტომბერში აპენინებს ნასტუმრევ ქართველებს ჯოვანი ტრაპატონი დაუხვდება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება გუშინ მიიღო. ფედერაციის პრესმდივნის ცნობით, ტრაპატონი ნაკრებს 2002 წლის ივლისამდე გაწვრთნის.

ჯოვანი ტრაპატონის 24-წლიან სამწვრთნელო სარბიელზე ყველაფერი მოუგია, რისი მოგებაც კლუბში შეიძლება: რვაჯერ სკუდეტო, გერმანიის ჩემპიონობა, სამჯერ უეფას თასი, თითოჯერაც თასების თასი და ჩემპიონთა თასი. ჯერი ნაკრებზეა.

# ფიორე აიაქსს არ ნებდება

## თერიმმა შოთას მესამედ დაურეკა

**გუშინ** კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ, ფლორენციის „ფიორენტინას“ თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი ამსტერდამის „აიაქსის“ ქართველ თავდამსხმელ შოთა არველაძეს დაუკავშირდა და კვლავ იგივე გაუმეორა, რაც ადრე უთხრა — „ფიორენტინაში“ გელითო.

შოთას პასუხი მოკლე ყოფილა — თქვენ ეცადეთ, „აიაქსი“ დაიყაბულეთ, რომ გამყიდოს, მეც ხელს შეგიწყობთო — შოთა არველაძემ ეს თერიმს უთხრა, ჩვენ კი წუხელ გაგვიმხილა, ხვალ ან ზეგ ჩემი დანიელი მენეჯერი ივან ბენეში ფლორენციას მიემგზავრება და ყველაფერს უფრო ზუსტად გაარკვევს, თერიმმა თავად მთხოვა, შენი მენეჯერი ჩამოვიდეს, მას დაველაპარაკებითო.

აი, ასეა საქმე. „ფიორენტინა“ მოწადინებულია, შოთა არველაძე გადაიბიროს, არც ჩვენებური თავდამსხმელია წინააღმდეგი, მაგრამ... აბა, „აიაქსს“ ჰკითხეთ, სურს კი შოთას გასხვისება? ამსტერდამელებს თურმე ამის გაგონებაც არ უნდათ.

— ფულზეც არაფერს ამბობენ. ვინ იცის, „ფიორენტინა“ ჩემს სანაცვლოდ „აიაქსს“ რამდენს სთავაზობს. მწვრთნელ კო ანდრიაანსეს ადრეც არაერთხელ უთქვამს, არველაძეს არ გავყიდიო, მე კი... ჩემი „ფიორენტინაში“ გადასვლა ახლა თუ არ მოხერხდა, დარწმუნებული ვარ, გაისად „აიაქსი“ მაინც გამყიდის. იმ დროისთვის კონტრაქტით ერთი წელი დამრჩება აქ სათამაშოდ და არა მგონია, ჩემს სანაცვლოდ ასალები ფული ხელიდან გაუშვან — შოთა არველაძე ვარჯიშიდან შინ ახალმიბრუნებული გახლდათ, როცა ამსტერდამში შევეხმიანეთ.

სხვა კლუბში გადასვლის ვარიანტები კი, შოთასვე თქმით, თითქმის გამორიცხულია, „ვალენსიამაც“ ვიღაც სამხრეთამერიკელი იყიდაო...

**კობა ინასარიძე**



შოთა „აიაქსში“ ვარჯიშობს და „ფიორენტინაძე“ ფიქრობს

მია ახალაძის ფოტო

## კიკნაძე 90 ათასს, ელოდება ანჩაბაძე კი წინადადებას

**ახალი** საფეხბურთო სეზონი ფაქტობრივად კარზეა მომდგარი. ქართველი ფეხბურთელების უმეტესობა ახალი, შესაფერისი უცხოური კლუბების ძიებაშია, მათ შორის არიან გიორგი კიკნაძე და გიორგი ანჩაბაძეც.

„ყველაფერი ძველებურადაა. ჩემს მსურველ კლუბს 90 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ეს ის თანხაა, რომელსაც თურქული „სამსუნსფორი“ ითხოვს ჩემს სანაცვლოდ. მომავალი გუნდის ვინაობა სავარაუდოდ ივლისის მიწურულს უნდა გაირკვეს“ — გვითხრა კიკნაძემ, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.

მსგავს მდგომარეობაშია გიორგი ანჩაბაძეც. მართალია, იგი თბილისის „დინამოში“ ირიცხება, მის შემადგენლობაში ინტერტოტოს თასზეც ითამაშა, მაგრამ ახლა ისიც დამოუკიდებლად ვარჯიშობს. მიზეზი მარტივია — „დინამო“ მეთორმეტე ჩემპიონატისთვის სამზადისს 12 ივლისს შეუდგება.

„ალბათ წამოვალ „დინამოდან“. რაღაც ვარიანტები არის უცხოეთიდან, თუმც ჯერ მხოლოდ ზოგადი, კონკრეტული არაფერი. რომც გამოჩნდეს, ასე უცებ ვერ წავალ. მართალია, „დინამოსთან“ იურიდიულად არანაირი კავშირი არა მაქვს, მაგრამ ამ კლუბს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად არ დავტოვებ. 12 ივლისს გუნდი შეიკრიბება, როგორც ვიცი, კრებაც უნდა მოეწყოს, იქ გაირკვევა ყველაფერი“ — აღნიშნა ანჩაბაძემ „სარბიელთან“ საუბარში.

**ვანო ოქროპირიძე**

# სკონტოს ახალი, ჩალაძის ძველი, რეხვიაშვილის ჯარიმა

**საზღვარგარეთ** ლეგიონერთა მონაწილეობით... 

**საზაფხულო** არდადეგებმა „ლეგიონერთა“ გამოშვებები მთლად გაალარიბა. მართალია, მალე დაიწყება ჩემპიონატები უკრაინასა და შვეიცარიაში, სადაც ქართველთა მატებაა მოსალოდნელი, მაგრამ მანამდე ჩვენთვის საინტერესო ორად ორ ქვეყანაში აგრძელებენ ჩვენებურები თამაშს — რუსეთსა და ლატვიაში.

რუსეთის უმაღლეს ლიგაში წრეთაშორისი შესვენებაა, პირველლიგელებს კი ჯერაც გახურებული ჩემპიონატი აქვთ, მათთან შესვენებამდე ორი ტურია დარჩენილი და ლიგას მიხეილ ჯიშკარიანის ყოფილ კლუბ „სოკოლთან“ ერთად მისი ახლანდელი გუნდი „ტორპედო ზილი“ ლიდერობს, ბოლო ადგილზე კი კვლავ ძმებ ჯელაძეების პეტერბურგული „ლოკომოტივია“.

მიხეილ ჯიშკარიანმა „სოკოლიდან“ წამოსვლის შემდეგ საქართველოს თასის მოგებაც მოასწრო თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად და ორი კვირის წინ კვლავ რუსულ პირველ ლიგას დაუბრუნდა. ბორის იგნატიევის მოსკოვურმა გუნდმა, რომელიც დედაქალაქური „ტორპედოს“ ნატეხია, 28 ივნისს დროებით გახსნილ სატრანსფერო პერიოდში დაიმტკიცა მიხეილ ჯიშკარიანი და იმავე დღეს, ბოლო ათ წუთს „ტომთან“ 1:0 მოგებულ მატჩშიც ათამაშა.

28 ივნისს გამართული ტური იღბლიანი გამოდგა ვოლგარელი ბახვა ამბიძისთვის, რომელმაც ასევე შემცვლელად ითამაშა, მაგრამ ჩიტის „ლოკომოტივთან“ 3:0 მოგებაში წვლილი შეიტანა, ანგარიში გაათორა.

ზვიად და გიზო ჯელაძეების გუნდს, სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივს“ ქართველი მწვრთნელის, გივი ნოდიას გამოცვლა ნამდვილად არ წაადგა — პეტერბურგელებმა თავი ვერ დააღწიეს ცხრილის ფსკერს და შინ „ნოსტასთან“ 1:2 წაგებით მდგომარეობა გაიუარესეს — უხიფათო ზონას 12 ქულით დაშორდნენ, რომელთაგან ერთი ბოლო ტურში „ლადასთან“ ნათამაშევი ფრით გაქვითეს. „ლოკომოტივის“ ერთადერთი გოლი სუანოვმა გიზო ჯელაძის პასით გაიტანა.

ლატვიაში საფეხბურთო ბუმი რომაა, ამას თუ კიდევ დასტური და ფიცი-მტკიცი სჭირდება, აგერ ბატონო: რიგის „სკონტომ“ 29 ივნისს ახალი 8-ათასიანი საკუთარი სტადიონი გახსნა, რომელიც წმინდა საფეხბურთოა.

ახალ სტადიონზე გოლების ანგარიში არ გაუხსნიათ, მაგრამ პირველივე მატჩში კი გაიტანეს ლევან კორღალიძემ და დავით ჩალაძემ, რომელმაც „დაუგავასთან“ 4:0 მოგებულ მატჩში მხოლოდ ბოლო 16 წუთი ითამაშა.

ჩალაძეს სრულად არც „რიგასთან“ უთამაშია, შეცვალეს, მაგრამ გუნდს 4:0 მოგებაში მორიგი გოლით დაეხმარა. ჩანს ძველი ხელობა, გოლების გატანა გაიხსენა, მანამდე მას მხოლოდ სამჯერ გაეტანა.

არადა, 23 წუთზე, „სკონტოს“ კაპიტანი ალექსანდრე რეხვიაშვილი გაუძევეს.

რეხვიაშვილს, რომელსაც მეტოქე თავში ფეხის ჩარტყმით გაუმასპინძლდა, ჩხუბი შეემთხვა და ლატვიის ფეხბურთის ფედერაციას 4-მატჩიან დისკვალიფიკაციას გამორჩა 200-ლატიანი (100 დოლარია) ჯარიმითურთ.

ინტერტოტოს თასის მომდევნო ეტაპზე გასული რიგის „დაუგავას“ მიზეზით 11 აგვისტოსთვის გადაიდო ამ გუნდის მატჩი ვალერი გაგუას პოლიციასთან, რომლის რიგებში ქართველი ნახევარმცველი ბოლო მატჩებში ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო არ ჩანს.

**ვახტან ბზიკაძე**



დავით ჩალაძე „სკონტოს“ ახალ, ხასხასამინდვრიან სტადიონზე

[illegible] ფოტო

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | შ | ტომი 1:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ნოსტა 1:2 | 90 | | 11 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ნოსტა 1:2 | 90 | | 13 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | ლ.ჩიტა 3:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 15 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | გაზოვიკი | | უამინდობის გამო გადაიდო | 12 | 4 | 10 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 2 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ლადა 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | შ | ლადა 1:1 | 90 | 1 საგოლე პასი | 13 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | მ.კრასნოიარსკი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 13 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | ამკარი 1:1 | 66 | შეცვალეს | 13 | 4 | 10 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დაუგავა 4:0 | 16 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 12 | 4 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 4:0 | 90 | | 11 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 4:0 | 58 | | 9 | 3 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დაუგავა 4:0 | 32 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 10 | 3 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | რიგა 1:4 | 0 | | 9 | 0 | 8 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 77 | შეცვალეს, 1 გოლი | 13 | 5 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 23 | გააძევეს | 12 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 90 | | 10 | 3 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 0 | სათადარიგო | 10 | 3 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ერთი წელი შერიფთან

## დავით მუჯირს სეირნობა მოენატრა

*წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს IX ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა დავით მუჯირმა მოლდოვის ვიცე-ჩემპიონ ტირასპოლის „შერიფთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 1999 წლის 6 ივლისს დავით მუჯირი და კომპანია „შერიფის" პრეზიდენტი ვიქტორ გუშანი მაგიდას მიუსხდნენ, სამომავლო გეგმებზე ილაპარაკეს და პირობებიც შეათანხმეს. მაშინ დათო უთამაშებელი გახლდათ. ზამთარში, როცა თბილისის „დინამოდან" წავიდა, რამდენჯერმე „ლოკომოტივში" ითამაშა, მაგრამ, მისივე სიტყვებით, ამით ბევრიც არაფერი შემატებია. მერე ჩვენი ჩემპიონატიც დამთავრდა და მუჯირი მთლად უგუნდოდ დარჩა. საქართველოში მის დაბრუნებაზე გუნდი უარს არ იტყოდა, მაგრამ მას არ სურდა აქ დარჩენა. როდის-როდის კი დავით მუჯირს ფიფას ლიცენზირებული ქართველი მენეჯერი ილია კოკია შეხვდა და მოლდოვის „შერიფში" თამაში შესთავაზა. ის ცოტა დაფიქრდა და ტირასპოლისკენ გასწია... „შერიფთან" კონტრაქტზე ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ კი „სარბიელს" ეს ინტერვიუ მისცა:*



დავით მუჯირი (ბურთით) და მისი სენნია სოლოღაშვილი

— მაშინ სხვა გამოსავალი არ მქონდა. უგუნდობას, რა თქმა უნდა, მოლდოვაში თამაში მერჩივნა. პირველივე წინადადებას დავთანხმდი. ტირასპოლში რომ მივდიოდი, ვფიქრობდი, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი და მოლდოვაში რაღა გამიჭირდება, დიდი-დიდი ნახევარ სეზონს ვითამაშებ, ჩვეულ ფორმას აღვიდგენ და თამაშს უკეთეს ქვეყანაში გავაგრძელებ-მეთქი. კლუბის პრეზიდენტმა ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა, თავიდან უარი ვთქვი, მაგრამ მერე გადავიფიქრე და დავთანხმდი. აბა, დასამალი რა მაქვს, თავიდან ძალიან გამიჭირდა.

**— შემადგენლობაშიც ვერ ხვდებოდი...**

— არ მეგონა, მოლდოვაში ასეთ ძალისმიერ ფეხბურთს თუ თამაშობდნენ. უბრძოლველად მტკაველს არავინ დაგითმობს. ტექნიკურად სხვებს კი ვჯობდი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. პირველი წრე ასე გაილია, არასტაბილურად ვთამაშობდი, ძირითად შემადგენლობაში თუ ვიქნებოდი, თითქმის ყოველთვის მცვლიდნენ. მერე კი ნელ-ნელა მოვუმატე, გუნდთან ვარჯიშების მერე მარტოც ვრჩებოდი და დავრბოდი, დატვირთვებს არ ვერიდებოდი. საგრძნობლად მოვღონიერდი, ამაში „შერიფის" მაშინდელი მწვრთნელიც დარწმუნდა და თითქმის ყოველ მატჩში შეუცვლელად მათამაშებდა. მეც, მგონი, გავუმართლე, 12 გოლი გავიტანე, ორი ამდენი კი საგოლე პასი გავაკეთე.

**— მაშინდელი მწვრთნელიო, თქვი...**

— სამი დღეა, გუნდი მოლდოვის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ივან დანილიანცს ჩააბარეს. არ ვიცი, სერგეი ბოროვსკი რატომ გაათავისუფლეს.

**— თითქმის მთელი ჩემპიონატი ლიდერობდით, ბოლოს კი პირველობა „ზიმბრუს" დაუთმეთ და გაათავისუფლებდნენ, აბა, რა იქნებოდა...**

— არა მგონია, მიზეზი ეგ იყოს. მართლაც 32 ტური პირველ ადგილზე ვიყავით, ბოლო ორ მატჩში ორი ქულაც საკმარისი იყო, „ზიმბრუ" მოგვეტოვებინა, მაგრამ აქაური ფეხბურთის ფედერაციის სინდისზე იყოს, რაც გავენეს. ერთი მატჩი ფრედ კი დავასრულეთ, მაგრამ ბოლოს მსაჯებმა ძალად წაგვაგებინეს.

ჩემპიონატი რომ დაიწყო და ვლიდერობდით, ფედერაციაში ფიქრობდნენ, ეგ ყველაფერი დროებითია, „შერიფი" შესაძლოა სულ დაიმალოსო. მერე კი, როცა დარწმუნდნენ, ჩემპიონობისთვის საკმაო ძალა გვქონდა, ეს ხელს აღარ აძლევდათ და „ზიმბრუ", დედაქალაქის გუნდი გააჩემპიონეს.

**— „შერიფის" პრეზიდენტი სხვას რას საქმიანობს?**

— ბიზნესმენია, ფეხბურთის დიდი ქომაგი — ვიქტორ გუშანი. ნახევარი ტირასპოლი, მგონი, მისია — სუპერმარკეტები, რადიო-ტელევიზია, დისკოთეკები... რა ვიცი, რას აღარ აკეთებს. ყველაფერს „შერიფი" ჰქვია... ფეხბურთისთვის ფული არ ენანება.

**— „შერიფში" კონტრაქტის ბოლომდე დარჩები? სხვა კლუბები არ გეპატიჟებიან?**

— ზამთარში კვიპროსში გვქონდა შეკრება და იქ ჩატარებული თითქმის ყველა ამხანაგური მატჩის შემდეგ სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლები მთავაზობდნენ მათთან გადასვლას, მე ვპასუხობდი, „შერიფს" დაელაპარაკეთ-მეთქი. როგორც ახლა ჩანს, ყველა უარით გაისტუმრეს. მეტი არაფერი ვიცი. ისე ბევრი რამ უეფას თასზე ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული. თუ პირველივე მეტოქესთან დავმარცხდით, არაა გამორიცხული, სხვაგან გადავიდე.

**— უკვე წელიწადია, მოლდოვაში თამაშობ. როგორ ფიქრობ, მოუმატე?**

— ხომ გითხარი, ფიზიკურად. ბევრ ვარჯიშსა და მონდომებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ძალიან მოვღონიერდი. ტექნიკურად კი არც აქამდე მიჭირდა. ვფიქრობ, ახლა საუკეთესო ფორმაში ვარ, უფრო სწორად, ვიყავი, როცა ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

**— ძალიან განსხვავდება მოლდოვისა და ჩვენი ჩემპიონატები?**

— ორგანიზაციულად თითქმის არა. ეგაა, რაც ვთქვი, თუ ჯანი არ გაქვს, აქ ვერ ითამაშებ. ტექნიკურად კი შედარებაც არ შეიძლება, ქართველები ამათ ათი თავით ვჯობივართ.

**— ახალი სეზონისთვის მზადება დიდი ხანია, დაიწყეთ?**

— რამდენიმე დღეა. დანილიანცმა თითქმის ყველაფერი შეცვალა, რას აღარ გაგვაკეთებინებს. ვარჯიშების მერე სიარულის თავი არ გვაქვს, ასეა დღეში სამჯერ. ქუჩაში სეირნობა მომენატრა. ისე კი დანილიანცი ბევრის მცოდნე მწვრთნელი ჩანს. ვნახოთ, ყველაფერს უეფას თასზე თამაში გამოაჩენს.

**— „შერიფი" სხვა ქართველების დამატებასაც ხომ არ აპირებს?**

— ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ისე კი ახლა გუნდში 50-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. 22-ში ჩემპიონატი იწყება და დანილიანცმა გამოსადეგი ფეხბურთელები უნდა შეარჩიოს. ქართველები კი... ზამთარში ვალერი გუნია ვარჯიშობდა ჩვენთან. მას მერე საქართველოდან არავინ ჩამოსულა.

კობა ინასარიძე

# ფოცხვერია დონეცკში დაბრუნდა

## მერანმა კი დაიწყო



„მერანის" პრეზიდენტი დავით ფურცელაძე

როგორც იქნა, ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო თბილისის „მერანმა". გუნდის პრეზიდენტ დავით ფურცელაძის თქმით, მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ გადაწყვიტა, 10 ივლისამდე ფეხბურთელები თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სუფთა ჰაერზე არბენინოს და ფიზიკურად ოდნავ მაინც მოაღონიეროს. 10 ივლისიდან „მერანი" დაახლოებით ორ კვირას ალბათ ლაგოდეხში დაჰყოფს, იქიდან დაბრუნებულები კი ვარჯიშს თბილისში, თავიანთ „სინათლის" სტადიონზე გააგრძელებენ. ფურცელაძის განცხადებით, არც ისაა გამორიცხული, გუნდი ლაგოდეხის შემდეგ სხვაგანაც შეიკრიბოს.

ცვლილებების თაობაზე „მერანის" პრეზიდენტს ბევრი არაფერი უთქვამს: „დღესდღეობით გუნდში ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს. ჩემპიონატისთვის ვინ გამოგვადგება, ეს მწვრთნელმა გადაწყვიტოს, სასურველ ფეხბურთელებს სიას ალბათ უახლოეს დღეებში მოგვაწვდის. ერთი ახალწვეული [illegible] კი გვემატა, ალბათ მერანელი გახდება „ზობის" ყოფილი თავდამსხმელი კობა ოდიშარია. ჯგუფის გუნდებიდან სამ-ოთხი ფეხბურთელის დამატებასაც [illegible]".

დონეცკის „შახტარიდან" სწორედ ფურცელაძის მეშვეობით განთავისუფლებული მიხეილ ფოცხვერია კი, რომელიც ბოლოს ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდა, ისევ დონეცკში დაბრუნდა, თუმცა დროებით. როგორც „მერანის" პრეზიდენტმა გვითხრა, მიშა კარიერას უკრაინის რომელიღაც გუნდში გააგრძელებს, მას რამდენიმე კლუბი ეპატიჟება, ახლა „მერანის" მენეჯერი [illegible] ტრანსფერის მოსაგვარებლად იმყოფება ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში.

ამიტომაც „მერანს" კვლავაც ძველებური აქტივობით [illegible] უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებთო, თქვა ბოლოს დავით ფურცელაძემ.

კობა ინასარიძე

# ოკეანე: ზედაპირიდან ფსკერამდე

თუ ვინმეს ჩემპიონობისთვის მებრძოლი „სამტრედია" ახსოვს, მაშინ არა მგონია, [illegible] დარჩენილი სამტრედიული კლუბის გახსენება გაუჭირდეს. „სამტრედიას" (მერე „იბერიად" რომ გადაკეთდა) ჟამთა სვლამ მძიმე გამოცდა მოუწყო. ჯერ იყო ამაღლება, მერე ჩაქვეითება და ნაწილებად გახლეჩა.

ახლა „იბერია" და მისი ფარგლები ჯერაც ცოცხლობს. ის კი არა, გუნდი ყველას დაშლილი რომ ეგონა, ბევრისთვის მოულოდნელად საზღვარგარეთ შეკრებაზე გაემგზავრება. მართალია, ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, სად გამართავს ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს „იბერია", მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ სოსო ფრიდონის კლუბი [illegible] ისევ დაუღალავად შრომობს.

სულ ცალკეა კიდევ ერთი სამტრედიული კლუბი — „ოკეანე". ამბავი რამდენიმე წლის წინ დაიწყო...



მურმან ძნელაძე

მას „ოკეანეს" თავკაცმა მურმან ძნელაძემ გადაწყვიტა, საფეხბურთო კლუბი ჩამოყალიბებინა. მხარდამჭერებიც მალევე გამოუჩნდნენ. [illegible] ახალჩამოყალიბებულ კლუბს ყოვლისმხრივ ორგანიზაციული [illegible] ეხმარებოდა. მწვრთნელად [illegible] დაინიშნა და ლოკალური განკარგულებაში.

ორი სტადიონი, კვების ობიექტი, ფეხბურთელთა დასვენებისთვის აუცილებელი ნაგებობა. გუნდი რეგიონალურ ლიგაში, აქეთ ნოხელის თასი, იქით მესხის ტურნირი... საფეხბურთო კლუბ „ოკეანეს" გარდა დაახლოებით სამასამდე ბავშვი ძნელაძისა და ლოპატინის განკარგულებაში.

კლუბს თავისი წესი ხარჯი აქვს, მაგრამ მოზარდებსაც არანაკლები სჭირდებათ. ლარი ლარს ემატება და საბოლოოდ სამკაოდ დიდი თანხა გამოდის.

როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია და კლუბის თავკაციც ჯერ მხნედ ეწევა ჭაპანს. მართალია, ხელფასი დიდი არაა, მაგრამ 30-50 ლარია. მწვრთნელის ჯამაგირი 100 ლარი, მსურველთა რიცხვი კი მატულობს.

ამიტომაც თქვა მურმან ძნელაძემ, თუ ასე გაგრძელდა, ხარჯებს ვერ გავუძლებ. არადა, როგორია ბავშვს უარი ჰკადრო, გული დასწყვეტო, ვერ მიგიღებო, უთხრა. ჰოდა, ძნელაძე ყაბულია, თუ ვინმე ისეთი გამოჩნდება, ვინც ბავშვებს აშორებინებს [illegible], მას ყოველგვარი გართულებების გარეშე შეუძლია „ოკეანის" საქმის ფარხულში ჩაბმა. საქმე აწყობილია, ერთად გავაგრძელოთო, სიტყვას ბევრს ასეთ [illegible].

„ოკეანეს" ერთი ფეხბურთელი, კრავეიშვილი ამჟამად ბულგარეთშია. ძალებს იქაური მეორე ლიგის ბლაგოევგრადის „პირინში" ცდის. პრესტიჟული ბიჭები არიან ჯგიმა და ჯაიძე. არც სხვები ალევენ სამეწ ხელს და მთელი გუნდის მონდომებაც შეიძლება გამოიღოს. „ოკეანე", რეგიონალური ლიგის, დასავლეთ ზონის „ა" ზონაში მეორე ადგილი დაისაკუთრა და ამიერიდან საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებს.

და გამქრალა სამტრედიული ფეხბურთი ქართულ საფეხბურთო რუკაზე, ამიტომ პირადად ჩემთვის ჯერაც გაუგებარია, ასეთი პოტენციის მქონე ქალაქს ერთი კარგი კლუბის შექმნა და ძლიერთა რიგებში თავის გამოჩენა რატომ უჭირს? ფაქტია შეუძლია, მაგრამ...

მამუკა ქვანტალიანი

# ფედერაციისგან შერისხული ქუთაისმა შეიფარა

ორ დღეში გუნდის სხვა ახალწვეულთა ვინაობასაც გაიგებთ — გვითხრა გუშინწინ „ტორპედოს“ პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ და გუშინ მისი ნათქვამიც გაცხადდა. ქუთათურებმა „ბათუმიდან“ რუსთაველი მცველი — ზურაბ არჩვაძე გადაიბირეს.

ამ ტრანსფერით ქუთათურები გარკვეულ რისკზე წავიდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, უქმად ყოფნას არ აპირებენ. რისკი ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ. დღეისათვის ზურაბ არჩვაძე სფფ-ს მიერ მკაცრად დასჯილია. როგორც იცით, ეს ფეხბურთელები XI ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ ფიზიკურად გაუსწორდა შეხვედრის არბიტრს, თამაზ ლაცაბიძეს. სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმაც არჩვაძეს დანაშაული არ აპატია და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არჩვაძემ XII ეროვნული პირველობა უნდა გამოტოვოს, თუმც შერისხული ფეხბურთელის ამნისტიაზე ამას წინათ უსაფუძვლოდ არ დაწყებულა საუბარი. ჩვენში სასჯელი ბოლომდე ერთ ფეხბურთელსაც არ მოუხდია და გამონაკლისი რაღა მაინცდამაინც არჩვაძე უნდა იყოს. როგორც ჩანს, ქუთათურებსაც იმის იმედი აქვთ, რომ კარს მომდგარი აღმასკომის სხდომა ლოიალობას გამოიჩენს და ფეხბურთელს სასჯელს შეუმსუბუქებს. არჩვაძე „ბათუმს“ ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაშორდა. ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა და მისთვის კალთა არც არავის დაუხევია. ეს ყოველივე კი მართლაც მოულოდნელია, რადგან კარნევალის და რუსთაველ ფეხბურთელს გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ. შვილივით მიყურებს, ძლიერ მენდობაო — ბევრჯერ უთქვამს ჩვენთვის ზურას. არჩვაძეც ამართლებდა კარნევალის ნდობას. სტაბილურად და საიმედოდ თამაშობდა ჩემპიონატში. მეტიც, მისი გარჯა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმაც შეამჩნიეს, დღეს კი ეს ფეხბურთელი უკვე ტორპედოელია — ნახევარ საათში სალორიის ბაზაზე ვიქნები, ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილია, „ტორპედოში“ ვითამაშებ — გვითხრა გუშინ ქუთაისში მიმავალმა არჩვაძემ.

დაბოლოს, 28 წლის ფეხბურთელი საქართველოს პირველ ჯგუფში (წლეულს უმაღლესი ლიგა რომ დაერქვა) 1996 წლიდან თამაშობს და დღემდე „მერანის“, „ლოკომოტივის“, „დინამოსა“ და „ბათუმის“ ღირსებას იცავდა.

**ბაატა ძვანტალიანი**



ზურაბ არჩვაძე (№2) და ზაზა ზირაქიშვილი

მიშა ახალკაცის ფოტო



გელენჯიკის ტურნირის გამარჯვებული „იმერეთი“

# მიბაძეთ პატარებს!

დაარსებიდან მეასე წლისთავს ზეიმობს თურმე შავიზღვისპირა რუსული ქალაქი გელენჯიკი. სწორედ ამ იუბილეს მიეძღვნა ახლახან აქ დამთავრებული ნორჩ, 1988 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირი, სადაც სხვებთან ერთად მიწვეულნი იყვნენ ქუთაისის შპს „იმერეთთან“ არსებული ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბის წევრები.

ორგანიზატორებმა ორ ჯგუფად გაჰყვეს მონაწილენი. ჯგუფებში გამარჯვებულები ფინალში თამაშს ინაღდებდნენ. ქუთაისელებმა პირველ მატჩში დიდი ანგარიშით 5:0 დაამარცხეს კრასნოდარის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები, მომდევნო შეხვედრაში კი მასპინძლებს აყარეს შავი დღე. გელენჯიკელებსაც ხუთი ბურთი გაუტანეს, ეგ იყო საკუთარ კარშიც მიიღეს ორი. ფინალურ მატჩში ჩვენებურები ნოვოროსიისკელ თანატოლებს გაეჯიბრნენ. დაძაბული ორთაბრძოლის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ქუთაისელთა კაპიტნის და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ელგუჯა მუშკუდიანის ზუსტმა დარტყმამ „იმერეთს“ საპატიო თასი „გელენჯიკი-100“ არგუნა.

„იმერეთის“ მწვრთნელების დავით გენძეხაძის და ავთანდილ თოხაძის თქმით, 9 აგვისტოს ქუთაისელები თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად ისევ ჩავლენ იუბილარ ქალაქში და ახალ ტურნირში იასპარეზებენ.

გელენჯიკის ტურნირის პარალელურად ნორჩთა შეჯიბრებებს სოჭიც მასპინძლობდა. 1989 წელს დაბადებულთა ასპარეზობა ნალჩიკის „სპარტაკის“ გამარჯვებით დასრულდა. ქუთაისის „ტორპედომ“ (მწვრთნელი მიხეილ კვერნაძე) ექვსგუნდა ტურნირში მეორე-მესამე ადგილები გაიყო ვლადიკავკაზის „ალანიასთან“.

უკეთესად იასპარეზეს წლით უმცროსმა ტორპედოელებმა. ალექსანდრე კვერნაძის შეგირდებმა ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგეს და პირველ ადგილზეც დამსახურებულად გავიდნენ. მეოთხე ადგილი აქ ბათუმის „დინამოს“ (მწვრთნელი ჯუმბერ მენაბდე) ერგო. საუკეთესო ნახევარმცველისთვის დაწესებული პრიზი ქუთაისელ ირაკლი ხუციძეს გადაეცა, მისი თანაგუნდელი ამირან ქარხილაშვილი კი ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (ალაზანი) | გურჩა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), მამალაძე (თბილისი) | 20.06-დან ქუთაისში ვარჯიშობს. 10.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენა ზვეზდას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | მორჩილაძე (თსუ) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ქილაძე (ს.ა. იბერია) | 22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1* |
| **დინამო** *ჯემალ ჩიმაკაძე* | *ხიზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი)*, პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გურჩა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან) | კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | *შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალი* | *მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია)*, ზ. არჩვაძე (ტორპედო), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მუავანაძე (მუქურა) | 07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა) | რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2) | 25.06-დან ფოთში ვარჯიშობს. 05.07-14.07 ბაკურიანში მოემზადება |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი) | 27.06-დან თბილისში ვარჯიშობს |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი) | | 30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება. |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი) | მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | 21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3* |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | | ოდიშარია (ხობი) | 01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება |
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | *ჯიმშარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი)*, ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, (?) | გონჩაროვი (თბილისი), ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანდი (ხობი) | 25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1* |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია) | მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი) | 01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0* |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ) | | 28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# გაერთიანებული გერმანიის ძალას ყველანი ნახავთ

**გუშინ** ციურიხში ფიფამ დაადგინა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართება და ეს საყოველთაოდ ფრანც ბეკენბაუერის პირად ტრიუმფად აღიქვეს — ყველაფერი, რასაც „კაიზერი“ მიეკარება, ოქროდ იქცევა, ყველა საქმე, რასაც იგი სათავეში უდგას, წარმატებულია.

ბეკენბაუერი დღესაც იმ ავტორიტეტისა და ელეგანტურობის ნაზავით იმარჯვებს, რომლითაც ფეხბურთელობის წლებში იმარჯვებდა. ქარიზმული ლიბერო სპორტსმენიდან სპორტულ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და ფიფას აღმასკომის 24 წევრის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, გერმანიას ერთადერთი შემორჩენილი კონკურენტი, სამხრეთ აფრიკა დაამარცხებინა: ხმები ასე დაიყო: 12 11-ის წინააღმდეგ. ერთმა თავი შეიკავა. როგორ ამბობენ, შედეგი სწორედ იმ კაცის ფაქტორმა განაპირობა, რომელიც 1974 წელს მოთამაშის, ხოლო 1990 წელს მწვრთნელის რანგში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

REUTERS ფოტოქრონიკიდან




ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და გერმანული დელეგაციის ხელმძღვანელი ფრანც ბეკენბაუერი

გერმანელთა სასარგებლოდ ცნობილი ფაქტორები მოქმედებდა: ამ ქვეყანას მრავალჯერ დაუმტკიცებია, რომ დიდ ტურნირებს კარგად მასპინძლობს, აქვს ჩინებული საფეხბურთო ტრადიციები და ინფრასტრუქტურა, აფრიკელთა მთავარი კოზირი კი ასეთი გახლდათ: დროა, მსოფლიოს ჩემპიონატს ეგრეთ წოდებულმა შავმა კონტინენტმა უმასპინძლოს. სწორედ ამ არგუმენტის გამო ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ბოლო წამამდე მათ უჭერდა მხარს.

არადა, აღმასკომში გამართულ კენჭისყრამდე ზუსტად ორი დღით ადრე, როდესაც კიდევ ერთმა კონკურენტმა, ბრაზილიამ კანდიდატურა მოხსნა და საჯაროდ განაცხადა, რომ მხარს სამხრეთ აფრიკას დაუჭერს, ბეკენბაუერი სერიოზულად შეშფოთდა: „ჩვენს წინააღმდეგ რაღაც ცხენების ვაჭრობა მოაწყვეს“ — განაცხადა მან.

მაგრამ მეორე დღეს „კაიზერ ფრანცი“ საზოგადოებრიობას ძველებური განწყობით გამოეცხადა. საბოლოოდ პრეზენტაციაზე მან ხუმრობებით ძლიერ შეზავებული სიტყვა წარმოთქვა და მრავალმხრივ მიმოიხილა საქმე, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა.

„მე თქვენ გენდობით“ — განუცხადა აღმასკომის წევრებს და თან გერმანული სტადიონების ხარისხი შეახსენა, რასაც მოხდენილად გადააბა მისი ერის დიდი გამოცდილებისა და ინფრასტრუქტურის ამბავი — „თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა შეგვიძლია“.

დიდ საფეხბურთო შეჯიბრებებს გერმანელებმა 1974 და 1988 წლებში უმასპინძლეს. პირველ შემთხვევაში მსოფლიოს, ხოლო მეორეში ევროპის ჩემპიონატს. მართალია, სწორედ ამის გამო გამოითქვა მოსაზრება, რომ ქვეყანას, რომელმაც პირველობა ერთხელ უკვე ჩაატარა, მეორედ ასეთი პატივი აღარ უნდა რგებოდა, მაგრამ ბეკენბაუერს ამაზეც მზად ჰქონდა პასუხი: „ის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო, ეს კი გაერთიანებული გერმანიაა, რომლისთვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა დიდი ამოცანაა და ახალი გამოწვევა გახლავთ“.

ძალიან სერიოზულად გაითვალისწინეს საფეხბურთო ხულიგნებთან ბრძოლის უნარიც. ახლახან დამთავრებულმა ევრო 2000-მა ხომ პრობლემა მთელი სიმწვავით წარმოაჩინა.

როგორც ამთავითვე მოსალოდნელია, ექვსი წლის შემდეგ ჩასატარებელი პირველობის გახსნის მატჩი მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართება, ხოლო ფინალი ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“, თუმც ორივე სარბიელი სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს. სულ ამ ეტაპზე 10-12 სტადიონია შესარჩევი, უფრო სწორად კი, ამოსარჩევი მათგან, რომლებიც ბეკენბაუერის გუნდმა ფიფას უკვე შესთავაზა.

სანამ საბოლოო წილისყრას მოაწყობდა, აღმასკომმა პირველი რაუნდი ჩაატარა, რომელშიც გერმანიამ 10 ხმა მიიღო, სამხრეთ აფრიკამ 6, ინგლისმა 5, ხოლო მაროკომ 3. შედეგად პრეტენდენტად მესამედ დასახელებული მაროკო ბრძოლას გამოეთიშა.

შემდეგ შედგა მეორე რაუნდი, სადაც გერმანია და სამხრეთი აფრიკა 11-11 ხმით გატოლდნენ, ინგლისს კი ორად ორი ხმა ერგო და საბოლოო ეტაპს გარეთ დარჩა.

და მესამე, გადამწყვეტ კენჭისყრაზე ინგლისელთა ხსენებული ორი ხმიდან ერთი გერმანელებს შეემატა, ხოლო მეორე დაიკარგა — თავი შეიკავა.

რა მოხდებოდა, აღმასკომის თავშეკავებულ წევრს მხარი სამხრეთელთათვის რომ დაეჭირა და ორივე პრეტენდენტს 12-12 ხმა მიეღო? მაშინ გადამწყვეტი სიტყვის უფლება პირადად ბლატერს მიეცემოდა და ვინ იცის, იქნებ აფრიკელებს გაემარჯვათ. ალბათ, ასეც მოხდებოდა, მაგრამ...

მაგრამ ბლატერმა, ბუნებრივია, ჯერ ოთხივე ქვეყანას შეუქო გარჯა, თქვა, რომ ოთხივე ღირსეული კანდიდატი იყო, ოღონდ პირობები მათგან ერთის არჩევას ითხოვს, შემდეგ კი გამოაცხადა: დოიჩლანდ!

ამრიგად, ტრადიცია არ დაირღვა — ევროპა ყოველ მერვე წელიწადს მსოფლიოს პირველობის მასპინძელი ხდება, თუმცა ახლა ფიფას პრეზიდენტი აშკარად ამბობს, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა 2010-ში შეჯიბრებამ აფრიკაში გადაინაცვლოს.

## თუმცა აფრიკას რა დააყენარებდა

სამხრეთი აფრიკის პროექტის ხელმძღვანელმა, დენი ჯორდანმა სიმწრისგან ტუჩები დაიკვნიტა: „აფრიკა ფიფას ოჯახის წევრია და ოჯახს უფლება არ აქვს, ერთი შვილი მუდმივად კვებოს, მეორე კი განწიროს. არადა, დღეს სწორედ ეს მოხდა. ამიერიდან ჩვენ, აფრიკელებმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა განვაგრძოთ განვითარება, მაშინ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა წარმოუდგენელ ბიძგს მოგვცემდა“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა მეკარემ, სამხრეთი აფრიკის წარმომადგენლობის წევრმა, გერი მეილიმ დასძინა: „დღეს საუკეთესო შანსი გვქონდა. ქვეყნის მომავალი ნათელი ჩანდა, ბიზნესი თითქოს აყვავების პირას იყო, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ამიერიდან ძველებურ რეჟიმში ვბრუნდებით. აფრიკულ ფეხბურთს, ეკონომიკას, ბიზნესს და პოლიტიკას დიდი დარტყმა აგემეს“.

კიდევ ერთი წარმომადგენელი, ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ტერი პეინი: „ვერ მივმხვდარვარ, რა გააკეთა იმ ვიღაც აღმასკომის წევრმა. მან პირველ და მეორე ეტაპებზე ვიღაცას ხმა მისცა, მესამეზე კი თავი შეიკავა. ბოლოს და ბოლოს, 13-11 წაგვეგო, აჯობებდა. დღეიდან აღარ ვიცი, საით წავა აფრიკული ფეხბურთი. რომელ ფეხბურთელს დააბამ სამშობლოში? საიდან მივცეთ ისეთი ხელფასები, ევროპაში რომ იხდიან?“

## ჩამოასხით, ერთიც უნდა დავლიო

გერმანელთა ბანაკში კი ზეიმობენ. „ნაკრების ახალ მწვრთნელს, რუდი ფიოლერს უკვე ვუთხარი, რომ საქმე გაგვიიოლდა, 2006 წლისთვის შესარჩევი შეჯიბრება აღარ გველის“ — ხუმრობდა ბეკენბაუერი — „იმაზე დიდი წინააღმდეგობა, რაც აფრიკელებმა გაგვიწიეს, წარმოუდგენელია. ემოციურად საყოველთაო მხარდაჭერა მათ ჰქონდათ და კამპანიაც გონივრულად წარმართეს. მათი მთავარი არგუმენტი ხომ ეს იყო: თქვენთან შედარებით ღარიბები ვართ და ერთადერთნი, ვის კონტინენტზეც მსოფლიოს ჩემპიონატი არ ჩატარებულა“.

გერმანული პროექტის ელჩმა, იურგენ კლინსმანმა დამარცხებული კონკურენტი შეიცოდა: იმათი არგუმენტები ნამდვილად ანგარიშგასაწევი იყო. გულწრფელად მინდა, მომდევნო შეჯიბრებას აფრიკამ უმასპინძლოს, ჩვენ კი საშუალება გვაქვს, მსოფლიოს ვაჩვენოთ 10 წლის გაერთიანებული გერმანიის ძალა.

კარლ-ჰაინც რუმენიგე: „ჩვენი ფეხბურთი კრიზისშია და მიზანი გვჭირდებოდა, რომელიც გამოჩნდა. დღეიდან განა მხოლოდ ინფრასტრუქტურაზე, ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენაზეც გავამახვილებთ ყურადღებას!“

**ბაჩუნა ძიძია**

REUTERS ფოტოქრონიკიდან



კეიპტაუნში ხალხი გლოვობდა

REUTERS ფოტოქრონიკიდან



სად შევცდით, ბატონებო? — ნირი წახდომიათ ბრიტანეთის სპორტის მინისტრს ტონი ბენქსს, კამპანია „ინგლისი 2006“-ის დირექტორს ალეკ მაკგივენს და ბობი ჩარლტონს

# ლურჯი ყველაფერია
## საფრანგეთის უცხოური ლეგიონი


ორი წელია, ფრანგული კედელი ვერავინ გაანგრია

1998 წელი. გაგანია ზაფხული და მსოფლიოს ჩემპიონატი. თითქმის ყველა ფრანგულ ტელეარხზე ფეხბურთია. თამაშებისგან, განხილვებისგან და ინტერვიუებისგან თავისუფალ დროს კი რეკლამები, რომელთა შორის „ადიდასისა" სჭარბობს. ეს ფირმა ხომ საფრანგეთის ნაკრების შემმოსველი და მისი ერთ-ერთი მთავარი სპონსორია. ამ რეკლამებიდან ერთი განსაკუთრებულად შთამბეჭდავი გახლავთ. ერიკ კანტონას ძველრომაული ტოგა მოუსხამს ზეწარივით და თითქოს ორთქლის აბანოში უნდა შევიდეს. შესვლის წინ კი დაჯერებული და დამრიგებლური ტონით კარგი მსახიობივით კითხულობს მონოლოგს: „ლეგიონერო! იცოდე თანაგუნდელის თანადგომა და პატივისცემა! გასაჭირში არ მიატოვო! ისიც შენნაირი მებრძოლია! თქვენ ერთად დიდ საქმეს გააკეთებთ, ლეგიონერო!" და კიდევ მსგავსი აზრის წინადადებები. „მანჩესტერის მეფის" საუბრისას კი კადრში სხვადასხვა „ლურჯები" ჩნდებიან. ისინი ფეხბურთს თამაშობენ, იქცევიან, ტკივილისგან იმანჭებიან, წამოდგებიან, წინ მიიწევენ, გოლი გააქვთ, უხარიათ... და ეს ყველაფერი საფრანგეთისათვის, ქვეყნისათვის, რომელიც მათი დიდი ნაწილის ახლო და შორეული წინაპრებისათვის უბრალოდ, უცხოეთი იყო, მათთვის კი... სამშობლოა, ლეგიონერთა ახალი სამშობლო.

ის რეკლამა მშვენივრად გადმოსცემს საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების ხასიათსა და სულს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ სად დაიბადა, ვინ რა ფერისაა, ვისი მამა უფრო განათლებული და ფულიანი იყო, როგორც კი „ლურჯი" ხდები, მაშინვე ერთი მიზანილა უნდა გამოძრავებდეს — საფრანგეთის გამარჯვება. და თუ ეს ასე არაა, და თუ მოედანზე მთლიანად ვერ იხარჯები, მაშინ აღარც ფრანგი ხარ და აღარც ნაკრებში გაქვს ადგილი. მაგალითი გნებავთ? ინებეთ.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კრისტიან კარამბუმ განაცხადა, რომ იგი საფრანგეთის ნაკრებში მხოლოდ იმიტომ თამაშობს, რათა თავისი სამშობლო, ახალი კალედონია (წყნარ ოკეანეში, ავსტრალიის მახლობლად მდებარე საფრანგეთის კუთვნილი კუნძული) გააცნოს მსოფლიოს და რომ იგი თავს ფრანგად არც არასოდეს თვლიდა და არც ჩათვლის. ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი ნამდვილად არ მოჰყოლია, მაგრამ კარამბუ ემე ჟაკემ ნელ-ნელა ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან და მსოფლიოს ჩემპიონატზეც, ალბათ, არ წაიყვანდა, კრისტიანს თავისი სიტყვები რომ არ გადაეთქვა. თუმც დანაშაულის მთლიანად გამოსყიდვა მაინც ვერ შეძლო და იმიტომაა იმ დღიდან სათადარიგო „ლურჯი".

ეს საფრანგეთზე, ახლა ერთმანეთის გატანაზე. მოგეხსენებათ, ყველაზე დიდი კონკურენცია მეკარეებს შორისაა. ჰოდა, ერთხელ ბერნარ ლამამ ფაბიენ ბარტეზი მაგრა გააკრიტიკა საჯაროდ. თუ მანამდე ლამა ჟაკესთვის ულაპარაკო პირველი მეკარე იყო, ამის მერე ძირითადში სულ უფრო ხშირად ბარტეზი ჩნდებოდა. ლამას კი უმნიშვნელო თამაშებში მონაწილეობაღა (საფრანგეთი — ჰოლანდია ევრო 2000-ზე) დარჩა.

დავუბრუნდეთ ეროვნულობის თემას, რადგან მრავალფეროვანი „ლურჯების" ევროპის ჩემპიონობამ თვით საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებშიც კი ახალი შეხლა-შემოხლა გამოიწვია იმიგრანტების უფლებების შესახებ.

სოციალისტური პარტიიდან გამოსულმა დეპუტატმა კოფი იამნიანმა სამშაბათს ხმამაღლა განაცხადა, რომ რცხვენია, როცა ხედავს „საფრანგეთს, რომელიც ზიდანის მშობლებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას არ აძლევს, ხოლო ამ უკანასკნელს სთხოვს, მისი ფერები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას". თვით წარმოშობით ტოგოელი (აბა, თქვენ რა გეგონათ) იამნიანი პოლიტიკოსებს სინდისზე აგდებს და მოითხოვს იმიგრანტებს ადგილობრივ არჩევნებში მაინც მიეცეთ საკუთარი შეხედულების გამოხატვის საშუალება. სოციალისტს მხარი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმაც აუბა. ბერნარ ბირსინეე (მგონი, ნაღდი ფრანგია) ამბობს, რომ ეს ეროვნებათა შერწყმა მხოლოდ სპორტისთვის კი არა, მთლიანად საფრანგეთისთვისაც სასარგებლოა და იქვე ამატებს: „როგორ გინდათ ახალგაზრდებს აუხსნათ, რომ მათ მშობლებს, რომლებიც აქ უკვე 30-40 წელია, ცხოვრობენ, ხმის მიცემის უფლება არ აქვთ მათგან განსხვავებით".

იქნებ ცოტა დაიბენით, ახალგაზრდებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა, მათ მშობლებს კი არა? საქმე ისაა, რომ ვინც საფრანგეთის ტერიტორიაზე იბადება, ავტომატურად ხდება ამ ქვეყნის მოქალაქე. იმიგრანტებმა კი შეიძლება მოქალაქეობა ვერ მიიღონ და მთელი ცხოვრება უცხოელებად დარჩნენ. სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან მარსელ დესაის, პატრიკ ვიეირას, ზინედინ ზიდანის, რობერ პირესის მშობლები და დავიდ ტრეზეგეს მამა. თუმცა აქ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მათ, ეტყობა, ძალიანაც არ მოუნდომებიათ საფრანგეთის ქვეშევრდომობა, თორემ ეს მიუწვდომელი ოცნება სულაც არ არის.

„თუ ზიდანის მშობლებს გაფრანგება სურთ, ამაში მათ ვერავინ შეეწინააღმდეგება. ეს პირადი არჩევანია. მე მოქალაქეობის მიღების გაადვილების მომხრე ვარ, მაგრამ ვისაც გაფრანგება დიდად არ უნდა, მაშინ, რატომ უნდა მივცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება?" — ვგონებ, სამართლიანად კითხულობს მემარჯვენე პოლიტიკოსი ფრანსუა გულარი (ეს კი სუფთა წყლის ფრანგია). მემარცხენეებს კი ამ არგუმენტის გაგონებაც არ სურთ და თავისის მიღწევას ლამობენ. „ზიდანმა აჩვენა რომ საფრანგეთისთვის ბრძოლა შეუძლია. იგი ქვეყნის გმირი გახდა. მინდა, თავისი მდგომარეობით ისარგებლოს და თავისი მშობლების უფლებებისთვისაც ისევე თავდადებით იბრძოლოს" — მოუწოდებს თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ნაღდი ფრანგი „მწვანეებიდან" ნოელ მამერი. აიტაცებს კი ზიზუ ამ მოწოდებას? ძნელი სათქმელია და ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი „ლურჯების" ზოგიერთ წევრსა და მათ წარმომავლობაზე ცოტა უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ. მაშ, ასე — მრავალფეროვნება „ლურჯებისა":

საფრანგეთის ნაკრები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. პირველში ის ფეხბურთელები შევიყვანოთ, რომლებიც ძირძველი ფრანგები, ანდა ისე, შორეულ წარსულში გაფრანგებული ხალხის შთამომავლები არიან, მათი გენეალოგიის გამოკვლევა ფაქტობრივად შეუძლებელია. აქ თეთრებთან ერთად შავკანიანებიც მოხვდებიან, ოღონდ ეს არავის გაუკვირდეს — ფაბიენ ბარტეზი, ულრიხ რამე, ვენსან კანდელა, ფრანკ ლებეფი, ლორან ბლანი, ემანუელ პეტი, იოან მიკუ, ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი, ნიკოლა ანელკა და კრისტოფ დიუგარი. აქედან რომელიმეზე (მაგალითად ანელკაზე) შეიძლება ვინმე შემოდავოს, ეგ კუპრივით შავი ბიჭი სადაური ფრანგიაო, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ანელკას წინაპრები დიდი ხანია, საფრანგეთის მიწაზე სახლობენ და უკვე აღარავის ახსოვს, თუ საიდან გაჩდნენ იქ ასე რომ, „ლურჯებში" 11 ფრანგი დავთვალეთ და დავანებოთ კიდეც მათ თავი, რადგან დღეს მხოლოდ საფრანგეთის ლეგიონზე ვსაუბრობთ.

ეს უცხოური ლეგიონი კი მეორე და მესამე ჯგუფებად დავყოთ. თავიდან ისინი ჩამოვთვალოთ, ვინც შედარებით ახალი თაობის ფრანგია. ასეთი ექვსია — მარსელ დესაი, პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი, იური ჯორკაეფი, რობერ პირესი და დავიდ ტრეზეგე. დარჩენილი ხუთეული კი საფრანგეთის კონტინენტური (ასეთად ბასკეთი ჩავთვალოთ) და საზღვაო „კოლონიების" წარმომადგენელია — დიდიე დეშანი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ბერნარ ლამა, ლილიან ტურამი და კრისტიან კარამბუ.

დავიწყოთ მეორე ჯგუფით და თითოეულზე და მის წარმომავლობაზე ორიოდ სიტყვა ვთქვათ.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი (ისევე როგორც ყველა შემდეგ ჩამოთვლილი „ლურჯი"), ჩემპიონთა თასის ორჯერ მომგები და სხვა მრავალი ტიტულის მფლობელი *მარსელ დესაი* აფრიკაში, კერძოდ კი განას დედაქალაქ აკრაში დაიბადა ამ ოცდათორმეტი წლის წინ და იქვე იზრდებოდა, სანამ 1980 წელს ნანტის საფეხბურთო სკოლაში არ ამოყო თავი — მისი ოჯახი საფრანგეთში გადაბარგდა. დესაის ფიზიკური მონაცემები და ნიჭი მალე შეამჩნიეს და „ნანტის" ძირითადში უკვე 18 წლისა ათამაშეს. აქედან მოყოლებული, სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდა. პირველად იგი ნაკრებში ჟერარ ულიემ მიიწვია 1993 წელს და დესაიც მალე გახდა თავისი მსგავსი (არამარტო გარეგნულად) ბაზილ ბოლის შემცვლელი და „ლურჯების" დაცვის ერთ-ერთი ბურჯი.

*პატრიკ ვიეირაც* აფრიკაშია დაბადებული, ოღონდ არა საფრანგეთის, არამედ პორტუგალიის ყოფილი კოლონიის სენეგალის დედაქალაქ დაკარში. საფრანგეთის ბედად, მისმა ბაბუამ ევროპაში გადასახლება რომ განიზრახა, პორტუგალიას უბრალოდ ძველი გალია ამჯობინა, თორემ ევრო 2000-ის ნახევარფინალში პატრიკი შეიძლება ბარიერის საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩენილიყო. ნაკრებში მისი დებიუტი ჟაკეს ეპოქაში, 1997 წელს შედგა. ერთხანს ვიეირა მუდმივად შემცვლელის როლში იყო, მაგრამ მისი ბრწყინვალე ტექნიკისა და ათლეტიზმის შემხედვარე როჟე ლემერი სულ უფრო ხშირად უთმობს ძირითადში ადგილს და ამბობს კიდეც, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იგი გუნდის ლიდერი იქნებაო.

*ზინედინ ზიდანზე* ევროპის ჩემპიონატამდეც, მისი მიმდინარეობისასაც და მერეც იმდენი ითქვა, დიდხანს აღარ შევჩერდებით მის, როგორც ფეხბურთელის თვისებებზე. უბრალოდ გეტყვით, რომ იგი მარსელში დაიბადა, ალჟირელი იმიგრანტების ოჯახში. ოღონდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი არაბი არ გეგონოთ — მის ძარღვებში ძველ ალჟირელ კაბილთა სისხლი ჩქეფს.

საფრანგეთის ნაკრებში იურიმდეც თამაშობდა ჯორკაეფი. ჟანი, შვილისგან განსხვავებით, მცველი და გუნდის კაპიტანი იყო. „თავისუფალი ელექტრონი" (ჟაკეს განმარტებაა) *იური ჯორკაეფი* კი შემტევი ნახევარმცველია. იგი ლიონში დაიბადა. ბაბუამისი საფრანგეთში საუკუნის დასაწყისში გადახვეწილი ყალმუხია, დედა კი იქაური სომეხი.

*რობერ პირესიც* ორი ეროვნების ნაჯვარია. მამამისი პორტუგალიელია და თბილისის „დინამოსთვის" კარგად ნაცნობ ქალაქ ბრაგაშია დაბადებულ-გაზრდილი. სად წააწყდა იგი ესპანელ მადამ პირესს, ჩემთვის უცნობია, მაგრამ რობერის დასაბადებლად და გასაზრდელად პირესებს რომ ფრანგული ქალაქი რეიმსი აურჩევიათ, ეს კი დანამდვილებით ვიცი.

*დავიდ ტრეზეგე* სანახევროდ ფრანგია და დაბადებულიც საფრანგეთში, ქალაქ რუანშია. ცოტა ხანში მისი მამა სამშობლოს ნოსტალგიას შეუწუხებია და დავიდიც არგენტინაში დავაჟკაცდა. იგი საფრანგეთს 18 წლისა, 1995 წელს დაუბრუნდა და მაშინვე მიიწვიეს კიდეც ახალგაზრდულ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაშიც 1996 წელს ევროპის ჩემპიონიც გახდა. ორი წლის შემდეგ კი ჟაკემ იგი მთავარ გუნდშიც იხმო და ამისგან ყველაზე მეტად ლემერმა „იხეირა". სწორედ ტრეზეგემ გაუტანა ისლანდიას შესარჩევ ტურნირში გამარჯვების და ევრო 2000-ზე გამგზავრების გოლი. ტოლდოს კარში მისი ოქროს გოლი კი „ლურჯების" ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება.

და აი, მესამე ჯგუფსაც ვუწიეთ.

„ლურჯების" გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი, მინდორზე ჟაკესა და შემდგომ ლემერის მარჯვენა ხელი, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი *დიდიე დეშანი* ბასკია. იგი აკვიტანიის რეგიონში, ატლანტიკური პირენეების დეპარტამენტის ქალაქ ბეიონში მოევლინა ქვეყანას და პირველი ბასკი შეიქმნა, რომელმაც მსოფლიოს თასი აღმართა. დეშანს გუნდის ფილტვებს ეძახიან. მას ყველაზე მეტი მატჩი უთამაშია საფრანგეთის ნაკრებში (101) და ახლა წასვლა უნდა, მაგრამ ლემერი ცდილობს, გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

*ბიქსენტ ლიზარაზუ* მეორე ბასკი გახდა, ვინც მსოფლიოს თასი აღმართა. გარდა ამისა, იგი ბრწყინვალე მცველია, რომლის შეტევებში ჩართვაც ყოველთვის სახიფათოა მეტოქე გუნდისთვის. ბიქსენტიც დეშანის დეპარტამენტში დაიბადა, ოღონდ თავისი კაპიტნისგან განსხვავებით, დღის შუქი პირველად ქალაქ სენ-ჟან-დე-ლიუზში იხილა.

*კრისტიან კარამბუს* წარმომავლობაზე ზევით უკვე მოგახსენეთ.

*ბერნარ ლამა* კი სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთის გვიანის ქალაქ სენ-სიმფორიენში გაჩნდა. მისი ოჯახი ახლაც იქ სახლობს, მამამისი ქალაქში მეტად პატივცემული პიროვნებაა და სენ-სიმფორიენის მერიც ყოფილა. ბერნარი ევროპაში 80-იანი წლების დასაწყისში გადმოიხვეწა და როგორც ფეხბურთელმა, დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

*ლილიან ტურამი* ანტილიის ზღვაში, სამხრეთ ამერიკასთან მდებარ კუნძულ გვადელუპედანაა. მისი დაბადების ადგილი ერთი ბეწო ქალაქი პუენტ-ა-პიტრია. ლამასი არ იყოს, მისი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ. ლილიანი 1989 წლიდან (17 წლის იყო) უკვე „მონაკოში" თამაშობდა. ნაკრებში 22 წლისა აიყვანეს და საფრანგეთის მაისურით ორად ორი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ რა გოლები! 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში „ლურჯებმა" სწორედ მისი დუბლის წყალობით სძლიეს ხორვატიას.

ასეთია საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მოკლე დახასიათება. „ლურჯების" ეს ნახევარი მინდორზე მეორე ნახევრის მსგავსად და სწორად ღვრის ოფლს. ისინიც საფრანგეთის შვილებად ითვლებიან და სწორედ ამ ორი ნახევრის შეთანხმებულ მოქმედებაშია „ლურჯების" წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო.

**გაიოზ თალაკვაძე**


საფრანგეთის შავი მარგალიტები: ნიკოლა ანელკა, ტიერი ანრი, ლილიან ტურამი, კრისტიან კარამბუ, მარსელ დესაი და სილვენ ვილტორდი

# ბერლუსკონიმ ტრაპატონი მოიყვანა

## იტალიური ფეხბურთი თვალის ერთი გადავლებით

დინო ძოფი ნაკრებიდან არავის გაუგდია, თავისით წავიდა. თუმცა ეს უკვე ვიცით და მიზეზიც მოგვეხსენება, სილვიო ბერლუსკონიმ, „მილანის“ პრეზიდენტმა, მას დილეტანტი უწოდა — ძოფმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა. მწვრთნელის წასვლის მერე კი ბერლუსკონიმ თქვა, ძოფის წყენინება აზრადაც არ მომსვლიაო.

თითქოს საოცარია, კაცს სამწვრთნელო აზროვნებას უწუნებ, მის პროფესიონალიზმში ეჭვი შეგაქვს და მერე მხრებს იჩეჩავ, რა ეწყინაო. არადა, ძოფმა „სკუადრა აძურა“ ფინალში გაიყვანა.

ყველაფერი გასაგები გახდება თუ გავიხსენებთ, რომ სილვიო ბერლუსკონი „მილანის“ პრეზიდენტობის გარდა პოლიტიკოსიცაა და თან ბობოლა ვინმე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამჟამად მემარჯვენე ცენტრისტული ოპოზიციის ლიდერი (ჰო, ის ტელემაგნატიცაა და ქართველ მაყურებლებს მისი კომპანიის გადაღებული ტელესერიალების ხილვის საშუალებაც ჰქონდათ).

პოლიტიკა კი ისეა აწყობილი, როგორც „ნათლიას“ მაფიოზი გმირი ამბობს: თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ეს მხოლოდ ბიზნესია.

ბიზნესია სილვიო ბერლუსკონის განცხადებაც და აი, რაზეა გათვლილი: გავლენიანი იტალიელი ბანკირი პაოლო გუიდა ამტკიცებს, სპორტული წარმატება ქვეყნის ეკონომიკაზე სასიკეთოდ მოქმედებსო და საფრანგეთის მაგალითი მოჰყავს. შარშანწინდელ ზაფხულში, როცა ემე ჟაკეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ფრანგული ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები სხვა წლების ზაფხულის თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი იყო. კეთილდღეობის ზრდა კი მოსახლეობის განწყობაზე მოქმედებს, რაც უკვე პოლიტიკური საკითხია.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საპირისპირო თეორიაც შეგვიძლია მივილოთ — სპორტულ შეჯიბრში მარცხი („სკუადრა აძურასი“ ფინალში) იტალიელებს ხასიათს გვარიანად გაუფუჭებს, რაც შრომის ნაყოფიერებაზე და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის ტემპებზე იმოქმედებს. მოკლედ, იტალიის ოპოზიციურ პარტიებს, ბერლუსკონი კისწორედ მათი ლიდერია, საკბილო მიეცათ.



ელენიო ერერა

რამდენად საფუძვლიანია ზემოაღწერილი თეორიები, ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ბერლუსკონი იტალიის მარცხის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას რომ შეეცადა, ფაქტია.

ზოგადად, ბერლუსკონის განცხადება პოლიტიკური თვალსაზრისით ეგებ სწორიც იყო, მაგრამ ადრესატის შერჩევაში კი ნამდვილად შეცდა. ვერ გათვალა, რომ დინო ძოფი იტალიელთა ერთ-ერთი გმირია. 1968 წელს ევროპის, ხოლო 1982-ში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაში „სკუადრა აძურას“ მეკარის და კაპიტნის დამსახურება ძალიან დიდია. ამასთანავე ხალხი ფრანგებთან მარცხში მწვრთნელს ნაკლებად ადანაშაულებს. ამიტომ ბერლუსკონის სიტყვებმა მოსახლეობის დიდ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. პოლიტიკოსისთვის კი მოსახლეობა რა არის? ამომრჩეველი. ჰოდა, ბერლუსკონიმაც სასწრაფოდ თქვა, ძოფის წყენინება არ მსურდაო, ეს კი გაფუჭებულ საქმეს რამდენად უშველის, დრო გვიჩვენებს.



ახალგაზრდა დინო ძოფი

აქამდე ძირითადად პოლიტიკაზე ვსაუბრობდით. მას ფეხბურთიც დავუმატოთ და იტალიურ საფეხბურთო პოლიტიკას და მის ისტორიას გადავხედოთ.

კატენაჩო — პირველი სიტყვა, რომელიც იტალიურ ფეხბურთზე საუბრისას გვახსენდება. ის წმინდა იტალიურ მოვლენად აღიქმება, თუმც მცდარია მოსაზრება, თითქოს კატენაჩო იტალიელთა მოგონილი იყოს. ეს სტილი, რომლის არსია მეტოქეზე ნაკლები გოლის გაშვება (და არა მეტის გატანა) იტალიელებს 50-იან წლებში ლეგენდარულმა ესპანელმა სპეციალისტმა ელენიო ერერამ ასწავლა და პირველად „ინტერში“ დაამკვიდრა.

ქომაგები კატენაჩოს უკიდურესი აგრესიით შეხვდნენ, ერერამ იტალიური შემტევი ფეხბურთი მოკლაო. სწორედ ასე თამაშობდა იქამდე „სკუადრა აძურა“ და 30-იან წლებში ორჯერ ზედიზედ მსოფლიოს ჩემპიონიც ბევრი გოლების წყალობით გახდა. მაგალითიც შეგვიძლია მოვიყვანოთ. 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელებს მატჩში საშუალოდ 2,4 გოლი გაჰქონდათ, ოთხი წლის მერე — 2,8, ხოლო 1982-ში — 1,7.

დრო გადიოდა. იტალიელები კატენაჩოს შეეჩვივნენ და ფეხბურთის მკვლელობად აღარ აღიქვამენ. ელენიო ერერას მერე იტალიაში მწვრთნელი არ დარჩენილა, კატენაჩოზე არ ეფიქროს. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში არ ვნახეთ კატენაჩოს კლასიკური ნიმუში?

დაბოლოს, დინო ძოფი — კაცი-სიმაგრე, კაცი-ურდული, იდეალურად ესადაგებოდა იტალიურ ფეხბურთს. მას ახლა ჯოვანი ტრაპატონი შეცვლის. ახალ მწვრთნელს ალბათ ძოფის, უფროსი მალდინის, ვიჩინის, ბეარზოტის გზის გავლა მოუწევს — დაცვაში ყრუ კედლის აგება და იმის იმედად ყოფნა, რომ გაუღწეველ დაცვას შემსკდარი მეტოქე დაიღლება და კონტრიერიში გამოეპარება.

**გიორგი დარჯანია**

# რაო? ფიგუ რეალში?

## „რეალი“ და „ბარსელონა“ პრეზიდენტის არჩევნებისთვის ემზადებიან

ხოსეპ ლუის ნუნიესს კატალონიურ კლუბში პრეზიდენტობის ვადა 2002 წელს გასდიოდა. მან კი განაცხადა, დასვენება მინდაო და გადადგა. შესაბამისად „ბარსელონაში“ ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, რომელიც 17 ივლისს შედგება. გამოთავისუფლებულ სავარძელს ორი პრეტენდენტი ჰყავს, ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ხუან გასპარი და ლუის ბასატი.

ამ მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენას კი ერთი დღით „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნები დაასწრებს. იქ ლორენსო სანსის მეტოქე ფლორენტინო პერესია.

არჩევნების ამბავი მოგეხსენებათ, უხვ დაპირებებს თუ არ გასცემ, წარმატების იმედი არ უნდა გქონდეს, თუმცა ეს ეგებ საკმარისი არც აღმოჩნდეს. ისე, დამტკიცებულია, დაპირება რაც უფრო სენსაციურია, მით უფრო სჭრის.

აი, ერთი მათგანი: ამირჩიეთ პრეზიდენტად და ლუიშ ფიგუს გადმოვიბირებ. ეს სიტყვები „ბარსელონას“ პრეზიდენტობას მსურველს რომ არ ეკუთვნის, ცხადია. პორტუგალიელი ისედაც იქ თამაშობს და გადასაბირებელი არაფერი სჭირს. ამას ფლორენტინო პერესი ამბობს, ლორენსო სანსის კონკურენტი. მას ისიც უთქვამს, ამ საქმისთვის 10 მილიარდ პესეტას (57,56 მილიონი დოლარი) გავიღებ, თავად ფეხბურთელს კი წლიურ ჯამაგირად 5,5 მილიონ დოლარს დავუნიშნავო. იმასაც უმატებს, ფიგუს აგენტს ხოსე ვეიგას ამ საკითხზე უკვე ვესაუბრეო.



ლუიშ ფიგუ

ლორენსო სანსი? „რეალის“ მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც პოსტის შენარჩუნებას ლამობს, პერესს მასხრად იგდებს, აბა, ეგ ფიგუს გადმომყვანიაო? პორტუგალიელი „რეალისთვის“ საჭირო კაცი რომ იყოს, კონტრაქტის გაფორმებას დამასწრებდაო? ეტყობა, ზომიერების გრძნობა დაუკარგავს, თორემ 57 მილიონი რა ამბავიაო (სანსმა ნიკოლა ანელკაში 35 მილიონი დოლარი გადაიხადა)? და საერთოდ, ჯერ პრეზიდენტი გახდეს და მერე ილაპარაკოსო.

ცალკე „ბარსელონაში“ ატყდა ჩოჩქოლი. სხვა შემთხვევაში ისინი რეალელთა ამგვარ წინასაარჩევნო განცხადებებს უპასუხოდ დატოვებდნენ, მაგრამ რაკი თავადაც არჩევნები ელით, ხოლო პერესის განცხადებამ კატალონიელ გულშემატკივართა ყურამდეც მიაღწია, ველარ გაჩუმდებიან.

ხუან გასპარმაც და ლუის ბასეტმაც ეს ამბავი შორს დაიჭირეს, თუმცა ისეთ კომენტარებს აკეთებენ, თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად ხელს რომ აძლევთ.

ხუან გასპარი: „ფიგუ ბარსელონელია და კონტრაქტით 2003 წლამდე ჩვენთან იქნება. მის წასვლაზე საუბარი უაზრობაა“.

ლუის ბასეტი: „ფიგუ თუ დავკარგეთ, ძალიან სამწუხარო იქნება. და თუ ასე მოხდა, პასუხისმგებლობა კლუბის ახლანდელ მმართველობას უნდა დაეკისროს. კონტრაქტის შედგენისას ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინათ და ისეთი პუნქტები ჩაედოთ, რომ ფიგუს გადაბირების სურვილი არავის გასჩენოდა“.

რაღა დავამატოთ? წინასაარჩევნო კამპანიაა. მთელ ამ ისტორიაში ერთადერთი კაცი, ვინც მშვიდადაა და ამდენი ტყუილ-მართალი არ აღელვებს, თავად ლუიშ ფიგუა. ის პროფესიონალი ფეხბურთელია და პოლიტიკურ ინტრიგებში (თუნდაც საფეხბურთო დონეზე) არ ერევა.



ხუან გასპარი

## ავსტრია

1-ლი ტური. ტიროლი — ადმირა 6:1; ზალცბურგი — რაპიდი 0:3; აუსტრია — გრაცერი 4:0; რიდი — ბრეგენცი 3:1; შტურმი — ლინცერი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| შტურმი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| აუსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| რაპიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| რიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ბრეგენცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ზალცბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| გრაცერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| ლინცერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |
| ადმირა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |

## შვედეთი

მე-9 ტური. ჰელსინგბორგი — ფრიოლუნდა 4:0; ნორჩიოპინგი — აიკ 3:0; სუნდსვალი — გიოტებორგი 2:2; იორებრო — ტრელებორგი 2:2; იორგრიტე — ჰაკენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:6 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| გიოტებორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:9 | 16 |
| აიკ | 9 | 5 | 1 | 3 | 9:11 | 16 |
| ნორჩიოპინგი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:9 | 14 |
| იორებრო | 9 | 3 | 4 | 2 | 16:13 | 13 |
| ჰამარბი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:11 | 13 |
| ელფსბორგი | 9 | 4 | 0 | 5 | 14:13 | 12 |
| სუნდსვალი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:13 | 12 |
| იორგრიტე | 9 | 4 | 0 | 5 | 8:12 | 12 |
| ტრელებორგი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 11 |
| ჰაკენი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:16 | 9 |
| გაის | 9 | 0 | 5 | 4 | 6:13 | 5 |
| ფრიოლუნდა | 9 | 1 | 2 | 6 | 4:18 | 5 |

## ნორვეგია

მე-12 ტური. ბრანი — ლილესტრიომი 0:2; ჰაუგესუნდი — ტრომსიო 0:2; მოსი — ვიკინგი 1:5; სტაბეკი — მოლდე 6:1; ვოლერენგა — ოდ გრენლანდი 0:0; ბრინი — რუსენბორგი 3:3; ბოდიო გლიმტი — სტარტი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 12 | 8 | 3 | 1 | 27:12 | 27 |
| ვიკინგი | 12 | 7 | 2 | 3 | 28:15 | 23 |
| ბრანი | 12 | 7 | 2 | 3 | 27:20 | 23 |
| სტაბეკი | 11 | 6 | 2 | 3 | 28:10 | 20 |
| მოლდე | 12 | 5 | 5 | 2 | 20:22 | 20 |
| ოდ გრენლანდი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:15 | 16 |
| მოსი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | 16 |
| ტრომსიო | 12 | 4 | 4 | 4 | 18:22 | 16 |
| ლილესტრიომი | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 14 |
| ბოდიო გლიმტი | 11 | 3 | 4 | 4 | 19:25 | 13 |
| ვოლერენგა | 12 | 2 | 4 | 6 | 15:18 | 10 |
| ჰაუგესუნდი | 12 | 3 | 1 | 8 | 18:32 | 10 |
| ბრინი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:27 | 9 |
| სტარტი | 12 | 1 | 3 | 8 | 12:29 | 6 |

## რუსეთი

XXVII ტურის მატჩი

**სპარტაკი 4:2 ტორპედო**

1:0 რობსონი (13), 1:1 ლიტვინოვი (23), 2:1 ტიტოვი (24), 3:1 რობსონი (53), 3:2 დაევი (61), 4:2 რობსონი (90)

XVIII ტურის მატჩი

**დინამო 1:2 ზენიტი**

0:1 სპივაკი (3), 0:2 ცვეტკოვი (6), 1:2 გოგნიევი (7)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 16 | 3 | 1 | 2 | 37:14 | 40 |
| ლოკომოტივი | 15 | 9 | 5 | 1 | 16:6 | 32 |
| ანჟი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:14 | 29 |
| ჩერნომორეცი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:9 | 28 |
| ზენიტი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:14 | 28 |
| დინამო | 16 | 8 | 4 | 4 | 22:17 | 28 |
| ტორპედო | 16 | 8 | 4 | 4 | 22:17 | 28 |
| სატურნი | 15 | 7 | 3 | 5 | 14:13 | 24 |
| ალანია | 15 | 5 | 3 | 7 | 15:20 | 18 |
| როსტსელმაში | 16 | 3 | 8 | 5 | 12:11 | 17 |
| როტორი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:28 | 16 |
| კრილია | 15 | 5 | 0 | 10 | 17:29 | 15 |
| ცსკა | 15 | 3 | 3 | 9 | 12:23 | 12 |
| ფაკელი | 15 | 2 | 6 | 7 | 16:30 | 12 |
| ურალანი | 15 | 2 | 4 | 9 | 11:20 | 10 |
| ნ. ნოვგოროდი | 16 | 0 | 5 | 11 | 6:24 | 5 |

### ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 2:1 ვენესუელა**

0:1 მორანი (25), 1:1 სეპედა (42), 2:1 აბუნდისი (50)

30 000 მაყურებელი

# პრემიერლიგაში ფულს ითვლიან

*19 აგვისტოს პრემიერლიგის პირველობა იწყება. კლუბები ახალი სეზონისთვის ემზადებიან — ახალ ფეხბურთელებს ყიდულობენ, ზოგსაც ყიდიან. მწვრთნელები თავიანთ ტაქტიკურ სქემებსა და მოსაზრებებს გუნდის პრეზიდენტებსა და თავმჯდომარეებს აცნობენ, ისინიც მილიონებს იხდიან. თანამედროვე ფეხბურთში მომქანცველ სეზონს გრძელი სათადარიგო სკამით თუ მოერევი. დარჩენილ ერთ თვეში ინგლისში, ალბათ, ბევრი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდება, ევროპის ჩემპიონატის დროს ოდნავ მიწყნარებული ბაზარი ხომ ნელ-ნელა იღვიძებს...*



კრისტიან კარამბუ

### მიდლსბროს დუბლი

„მიდლსბრომ“ წინა სეზონში თავი ვერაფრით გამოიჩინა. გუნდი, უეჭველია, მომავალში შეეცდება რაიმე შედეგის მიღწევას. ამას ხელმძღვანელები არც მალავენ, კლუბს აძლიერებენ და აგერ ორი ახალი ფეხბურთელიც შეიძინეს. ბრაიან რობსონმა სატრანსფერო ბაზარს მოავლო თვალი და ტიტულით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ფრანგი კრისტიან კარამბუ და ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი პოლ ოკონი გადაიბირა.

27 წლის კარამბუ მიდლსბროელებს მადრიდის „რეალიდან“ შეუერთდა. ოთხწლიანი კონტრაქტის საფასურად ინგლისელებმა ესპანეთის „სამეფო კლუბს“ 2,1 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

კარამბუმ წლეულს ორი უდიდესი ჯილდო მოიგო: მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, საფრანგეთის ნაკრებში კი რამდენიმე დღის წინ ევროპის ჩემპიონის ტიტული ირგუნა.

ალსანიშნავია, რომ კრისტიანი „რეალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, შეცვლებზე თუ გამოჩნდებოდა. ესპანეთის ჩემპიონატის თითქმის მთელი სეზონი მან სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ხოლო ევრო 2000-ზე მხოლოდ ერთი მატჩი არგუნეს — ჯგუფში ჰოლანდიასთან გავიდა მინდორზე.

„მიდლსბროში“, კი, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, რითაც ძალიან კმაყოფილია. „ჩემთვის ერთობ ხელსაყრელი შეთანხმება იყო — აღნიშნა ფრანგმა — წლეულს „მიდლსბროს“ ძლიერი გუნდი ეყოლება. მჯერა, თანაგუნდელებს შევეწყობი და პირველივე სეზონში წარმატებას მივაღწევ“.

ახალ კონტრაქტზე თავისი აზრი „მიდლსბროს“ თავმჯდომარემაც გამოთქვა: „კარამბუ ერთობ გამოცდილი, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია. ბოლო წლებში მან რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო მოიგო, სადაც კი ითამაშა მისმა გუნდმა, თითქმის ყველგან იმარჯვა. წლეულს კრისტიანი ორჯერ გახდა ევროპის უდიდესი ჯილდოს მფლობელი“.

„მიდლსბროს“ მეორე ახალშენაძენი ავსტრალიელი პოლ ოკონია. იგი ინგლისში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩავიდა. აქამდე ოკონი „ფიორენტინაში“ იყო, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და კლუბის გამოცვლა არჩია.

„ფიორენტინაში“ ახალი მწვრთნელი მივიდა, მაგრამ ოკონი ალბათ მიხვდა, რომ არც ფატიჰ თერიმი აღირსებდა ძირითადში ადგილს.

„რივერსაიდ სტედიუმზე“ 28 წლის ფეხბურთელი მომავალი ორი სეზონი დარჩება. იგი გუნდს ივლისის ბოლოს შეუერთდება.

### ნიუკასლის მესამე

ბაზარზე ბოლო ხანს „ნიუკასლ იუნაიტედიც“ გააქტიურდა. ბობი რობსონმა ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი კარლ კორტი პრემიერლიგიდან გავარდნილი „უიმბლდონიდან“ 7 მილიონ გირვანქად შეიძინა.

კორტი ოთხშაბათს ნიუკასლში ჩავიდა, კლუბის თავმჯდომარეს, ფრედი შეპერდსა და აღმასრულებელ დირექტორს, დევიდ სტოუნჰაუსს შეხვდა. ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და ამის შემდეგ „ნიუკასლთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

არადა, ბობი რობსონს რომ არ ეყოჩაღა, კორტი ახლა „ტოტენჰემში“ ან „ლესტერში“ იქნებოდა. ისინიც ეპატიჟებოდნენ ფეხბურთელს.

„მიხარია, რომ „ნიუკასლში“ გადავედი — განაცხადა ახალგაზრდა კარლმა — გუნდის მომავალმა გეგმებმა და მიზნებმა ერთობ დამაინტერესა, ბობი რობსონის კლუბში თამაში ჩემთვის დიდი პატივია“.

ალსანიშნავია, რომ კორტმა თავისი სადებიუტო მატჩი „უიმბლდონში“ სწორედ „ნიუკასლის“ წინააღმდეგ ჩაატარა. ეს 1997 წელს იყო და კარლი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე გახლდათ. მაშინ იგი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ალან შირერის მხარდამხარ მოუწევდა თამაში.

ლონდონში დაბადებული კორტი 1996 წელს „უიმბლდონში“ ჩაირიცხა და კლუბთან ოფიციალურ კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. კარლი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა, მან ერთი თვის წინ დასრულებულ თანატოლთა ევროპის პირველობაზეც ითამაშა, თუმცა ბრიტანელმა ახალგაზრდებმა სლოვაკეთში ჩატარებულ ტურნირში ვერ იყოჩაღეს.

### მანჩესტერიდან დერბიში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა მცველი დენი ჰიგინბოთომი „დერბი ქაუნთიში“ გადავიდა. გიორგი ქინქლაძის გუნდმა 21 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ინგლისის ჩემპიონს 2 მილიონი გირვანქა გადაუხადა. დენი „პრაიდპარკზე“ ოთხ წელს დარჩება.

ჰიგინბოთომი მარცხენა მცველია, ფილ ნევილთან და დენის ირვინთან შედარებით სუსტი „იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და რამდენჯერმე მხოლოდ შეცვლაზე გამოჩნდა მინდორზე. შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონმა ჰიგინბოთომი ცოტა ხნით ბელგიურ „ანტვერპენში“ გაანათხოვრა და მასთან ერთად კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რონი უოლვორკი გაუშვა.

შარშან ჰიგინბოთომს ბელგიის ჩემპიონატში უსიამოვნება შეემთხვა, მსაჯთან კამათის გამო იგი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, „მანჩესტერის“ აპელაციის შემდეგ კი სასჯელი ოთხ თვემდე შემცირდა.

ჰიგინბოთომი მანჩესტერში დაიბადა. სერ ალექსის გუნდთან მან 1997 წელს გააფორმა კონტრაქტი. იგი „იუნაიტედის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა და ქვეყნის ახალგაზრდული ლიგის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

### გამოცდილი სკაილზი იფსვიჩიდან

ახალი წევრი პრემიერლიგაში ახალგადასულმა „იფსვიჩმაც“ შეიძინა. ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი ჯონ სკაილზი ამ კლუბში „ტოტენჰემიდან“ გადავიდა. 34 წლის ფეხბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სამედიცინო შემოწმებაც უკვე ჩაიტარა.

„ჯონ სკაილზი ერთობ გამოცდილი მცველია. მას ინგლისის ნაკრებშიც უთამაშია — განაცხადა „იფსვიჩის“ თავკაცმა ჯორჯ ბიუკლეიმ — „ტოტენჰემში“ ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, თუმცა ბოლო ხანს სრულად გამოჯანმრთელდა. ფეხბურთელი ჩვენმა ექიმებმა გასინჯეს და დაადგინეს, რომ ყველაფერი რიგზეა. სკაილზს თავადაც ვესაუბრე, იგი ოპტიმისტი ყოფილა და ეს სასიამოვნოა, მისი გამოცდილება ჩვენს გუნდს გამოადგება“.

სკაილზმა საფეხბურთო კარიერა „ლიდს იუნაიტედში“ დაიწყო, თუმცა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და „ბრისტოლში“ გადავიდა. შემდეგ მან სამი კლუბი გამოიცვალა, ჯერ „უიმბლდონში“ თამაშობდა, შემდეგ „ლივერპულსა“ და „ტოტენჰემში“.

**ნიკა შუბლაძე**



დენი ჰიგინბოთომი



კარლ კორტი



პოლ ოკონი



**ესპანურმა** „ატლეტიკომ“ შესაძლოა სალვა ბალესტა შეიძინოს. მეორე დივიზიონში დაქვეითებული მადრიდული კლუბის პრესატაშემ დაადასტურა, რომ „ატლეტიკო“ ფორვარდის გადაბირებას ლამობს. „ჩვენ ბალესტას შეძენა მართლაც გვსურს, თუმცა ფეხბურთელს „დეპორტივომაც“ დაადგა თვალი“ — განაცხადა მან. შეგახსენებთ, რომ სალვამ „რასინგში“ ნაყოფიერი სეზონი ჩაატარა და 27 გოლი გაიტანა. ესპანური სააგენტოების ცნობით, მადრიდელები ფორვარდის სანაცვლოდ 9,2 მილიონ დოლარს, ხოლო ლაკორუნიელები ოდნავ მეტს — 9,8 მილიონ დოლარს იხდიან.

**თურქეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი „ფენერბაჰჩეს“ თავკაცად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ სპეციალისტმა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვა. თურქული სააგენტოების ცნობით, დენიზლიმ ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ფენერბაჰჩემ“ სულ ახლახან „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი ალი გიუნეშიც გადაიბირა და მასთანაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**სამხრეთაფრიკელი** ნახევარმცველი სტივენ პინაარი კეიპტაუნის „აიაქსიდან“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადავა. ჰოლანდიურმა კლუბმა 19 წლის ფეხბურთელთან კონტრაქტი გააფორმა, იგი ამსტერდამში 2001 წლის იანვარში ჩავა და „აიაქსში“ ხუთ წელიწადს გაატარებს.

**ლიბერიელი ჯორჯ ვეა საფრანგეთში, კერძოდ „მონაკოში“ დაბრუნდა. იტალიურმა „მილანმა“ საფრანგეთის ჩემპიონებს ვეა 20 მილიონ დოლარად მიჰყიდა. რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ლიბერიელმა ვეტერანმა, უცნობია. ახალი სეზონიდან კი „მონაკოს“ თავდასხმაში ახლა უკვე ყოფილი მილანელები — მარკო სიმონე და ჯორჯ ვეა ითამაშებენ.**

**რუსი** ოლეგ ვერეტენნიკოვი რომ ბელგიურ „ლიერსში“ გადავიდა, ადრეც გაუწყეთ. თუმც მაშინ ცნობილი არ იყო, რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმა ვოლგოგრადის „როტორის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჩვენებური გელა შეყილაძის კლუბთან. ახლა ესეც გაცხადდა — ვერეტენნიკოვის ხელშეკრულება სამწლიანია.

**პოლონეთის ნაკრებში შესაძლოა შავკანიანმა ფეხბურთელმა — ნიგერიელმა ემანუელ ოლისადებემ ითამაშოს. ვარშავის „პოლონიას“ ფეხბურთელმა ამ დღეებში პოლონეთის მოქალაქეობა მიიღო, ბოლო ჩემპიონატშიც კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ვინაიდან ნიგერიის ნაკრებში თამაშის შანსი მცირეა, თანახმაა, თავისი „ახალი“ ქვეყნის ნაკრების ღირსება დაიცვას. „თუ მიმიწვევენ, სიამოვნებით ვითამაშებ, თავს არ დავზოგავ“ — განაცხადა ნატურალიზირებულმა პოლონელმა, რომელიც ამ ქვეყანაში სათამაშოდ სამი წლის წინ ჩავიდა.**

# შეყვარებული ვის არ ჰყოლია...

**რუმინეთის** ეროვნული ნაკრების წევრის, იონელ განეას ძმა, დორინელ განეა ლამის სიყვარულის მსხვერპლი გახდა. დორინელ განეაც ფეხბურთელია, „ბრაშოვის“ წევრი. ჰოდა, გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დასრულების შემდეგ თანაგუნდელებმა იგი თავის ოთახში, ლოგინზე ვენებგადაჭრილი ნახეს. როგორც რუმინული გაზეთი „ლიბერტატია“ იუწყება, რომ არა თანაგუნდელები, რომლებმაც დორინელი დროულად მიიყვანეს საავადმყოფოში, ტრაგედია გარდუვალი იქნებოდა.

რამ მიიყვანა ევრო 2000-ზე ინგლისელთა კარში გამარჯვების გოლის გამტანი იონელ განეას ძმა უკიდურეს ზომამდე? რამ და, როგორც გითხარით სიყვარულმა. როცა გაიგო, მის სატრფოს იგი არ უყვარდა და მიტოვებას უპირებდა...

ფეხბურთელი მალე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშსაც განაახლებს, მაგრამ სად, ცნობილი არ არის. „ბრაშოვის“ მწვრთნელმა გაბრიელ სტანმა მასთან განშორება გადაწყვიტა, გიჟები არ მჭირდებაო.

# დაეხმარება ბრემე ფიოლერს?

**ახლო** წარსულში ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა ანდრეას ბრემემ განაცხადა, რომ იგი ბუნდესნაკრების მწვრთნელის ასისტენტად სიამოვნებით იმუშავებს და რუდი ფიოლერს ნაკრების ხელმძღვანელობაში დაეხმარება.

„გერმანიის ნაკრები ისევ უნდა მოძლიერდეს და უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლოს“ — განაცხადა ბრემემ, რომელმაც 1990 წელს რუდი ფიოლერთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

39 წლის ბრემემ, რომელსაც მწვრთნელის ლიცენზია აქვს, თქვა, რომ ამ საკითხზე კიდევ ერთხელ დაფიქრდება და რამდენიმე დღეში მიიღებს გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ ბუნდესნაკრების მწვრთნელის პოსტი ამჟამად რუდი ფიოლერს უჭირავს. მან ცოტა ხნის წინ ერიხ რიბეკი შეცვალა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახის გამო გაათავისუფლეს. ისიც ცნობილია, რომ ფიოლერი ნაკრებს ერთ წელს უხელმძღვანელებს, შემდეგ კი ამ თანამდებობაზე „ლევერკუზენის“ თავკაცი, კრისტოფ დაუმი დაინიშნება.

„გუნდს მებრძოლი სული უნდა შთავბეროთ. ფეხბურთელებმა მთელი ენერგია და მონდომება მინდორზე უნდა გამოავლინონ. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ადრე ჩვენს ნაკრებს შეეძლო, თამაშის ბედი რამდენიმე წუთში გადაეწყვიტა და ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა“ — განუცხადა დაუმმა „კიკერს“ და დასძინა — „უდავოა, ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად უნდა მოვძლიერდეთ, მაგრამ მთავარი მაინც ერთიანი, მებრძოლი გუნდის შექმნაა. თუ მოვინდომებთ, დიდ წარმატებებს მივაღწევთ“ — ამბობს ფიოლერის მომავალი შემცვლელი.

# ანელკა ჩამოფასდა

**შარშან** ამ დროს ფრანგი თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა ლონდონის „არსენალიდან“ მადრიდის „რეალში“ სამეფო კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 35 მილიონ დოლარად გადავიდა, მაგრამ ფრანგმა კარგა ხანს იმედი ვერ გაამართლა და მხოლოდ სეზონის ბოლოსკენ ათამაშდა. „რეალმაც“ ანელკას გაყიდვა განიზრახა, მაგრამ სარეკორდო თანხად შეძენილს ჩალის ფასად ხომ არ გაყიდის? ანელკას მსურველთაგან ხმამაღლა ყველაზე მეტად ფრანგის ყოფილი კლუბი „პარი სენ ჟერმენი“ აქტიურობს, თუმცა ტურინის „იუვენტუსსაც“ ძალიან სურს მისი გადაბირება. და აი, გუშინ, „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსს ანელკაში 29 მილიონი დოლარი შეაძლიეს, თუმცა ვინ, ჯერ არ გაცხადებულა. თუ ანელკა გაიყიდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ თანხით „რეალი“ ახალ ფეხბურთელებს შეიძენს. „გაძლიერება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ვთვლი, რომ „რეალში“ ახლა საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები არიან და დიდი ცვლილებები არ გვჭირდება“ — განაცხადა სანსმა. ესპანური პრესა კი დაჟინებით იუწყება, ანელკას იდუმალი მსურველი ისევ ის „პარი სენ ჟერმენიაო“.

**გიორგი ვაშაძიძე**

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

რუსეთი. მე-16 ტური
8 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | კრილია-ლოკომოტივი 18.00 | 4,4 | 2,8 | 1,7 |
| 002 | დინამო-ჩერნომორეცი 18.00 | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 003 | ნ.ნოვგოროდი-ტორპედო 18.00 | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 004 | როტორი-როსტსელმაში 18.00 | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 005 | ფაკელი-ალანია 18.00 | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 006 | სპარტაკი-ურალანი 18.00 | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 007 | სატურნი-ცსკა 18.00 | 1,9 | 2,9 | 3,6 |

შვედეთი. მე-10 ტური
9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | ტრელებორგი-გაის | 1,55 | 3,4 | 5,0 |

10 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | აიკ-სუნდსვალი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 010 | ელფსბორგი-იორებრო | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 011 | ჰეკენი-ჰამარბი | 2,7 | 3,0 | 2,3 |

ნორვეგია. მე-13 ტური
9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 013 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 014 | რუსენბორგი-მოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 015 | სტარტი-ვოლერენგა | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 016 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 017 | მიოლდე-ბრანი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

ინტერტოტო. II ეტაპი. II მატჩები
8 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | მოგილევი (ბელარუსი)-ბლშანი (ჩეხეთი) | 2,3 | 2,9 | 2,7 |
| 502 | ჩაპლაული (რუმინეთი)-მალიორკა (ესპანეთი) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 503 | ლეიფტური (ისლანდია)-სედანი (საფრანგეთი) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 504 | ფრიოლუნდა (შვედეთი)-პელისტერი (მაკედონია) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 505 | სლავენი (ხორვატია)-ზაგლებე (პოლონეთი) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 506 | ციბალია (ხორვატია)-ტატაბანია (უნგრეთი) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 507 | სიგმა (ჩეხეთი)-ველბაჟდი (ბულგარეთი) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 508 | ზალცბურგი (ავსტრია)-უნისპორტი (მოლდოვა) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 509 | აუსტრია (ავსტრია)-სალამანკა (კვიპროსი) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 510 | ოსერი (საფრანგეთი)-სტაბეკი (ნორვეგია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 511 | სტანდარდი (ბელგია)-პერუჯა (იტალია) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 512 | ოლბორგი (დანია)-დინაბურგი (ლატვია) 18.00 | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 513 | ბრედფორდი (ინგლისი)-ატლანტასი (ლიტვა) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 514 | დუკლა (ჩეხეთი)-ლინცერი (ავსტრია) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 515 | პრიმორიე (სლოვენია)-ზენიტი (რუსეთი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 516 | შტუტგარტი (გერმანია)-ქსამაქსი (შვეიცარია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.
8 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 517 | ზამბია-ტოგო 18.00 | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 518 | სიერა ლეონე-განა | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| 519 | ტუნისი-მადაგასკარი | 1,4 | 3,5 | 6,0 |

9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 520 | ზიმბაბვე-ს.აფრიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 521 | კამერუნი-ანგოლა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 522 | დრ კონგო-კონგო | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 523 | ლიბერია-ნიგერია | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| 524 | მაროკო-ალჟირი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 525 | სენეგალი-ეგვიპტე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 526 | ბურკინა ფასო-გვინეა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთაველზე ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბასკოელები ანტონ არხიპოვი (მარცხნივ), ვალერი კილაძე (ბურთით) და ირაკლი მაისურაძე ფინალში მეტოქეს უტევენ



მამუკა აბრამიძე (მარცხნივ) ფინალს ტრავმის გამო დააკლდა, ალეკო დავითულიანმა კი ფეხმტკივანმა ითამაშა

# ზურაბ ტომარაძე: შეგვარგეთ ჩემპიონობა!

*მეცხრე ეროვნულის ტრიუმფატორი ბათუმის „ბასკოა“. ამ წარმატების სულისჩამდგმელი კი ზურაბ ტომარაძე გახლავთ, პიროვნება, რომელმაც მანამდე ზედიზედ ორჯერ აღაზევა „ვითა“ და ქვეყანაშიც მწვრთნელ-ჩემპიონის სახელი დაიგდო. ტრადიციად იქცა, ჩემპიონობა ზურაბ ტომარაძის გაწვრთნილი გუნდის ხვედრია...*

*საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტომარაძემ ლამის შუა სეზონში ჩაიბარა „ბასკო“. სეზონი დამთავრდა და ბოლო წლებში ჩვეულებად ქცეული „რიტუალის“ დროც დადგა: ზურაბ ტომარაძე „სარბიელს“ უნდა ესაუბროს განვლილ ჩემპიონატზე ჩემპიონი გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში.*



ზურაბ ტომარაძე

— „ბასკოში“ რომ მივედი, იმ დროისათვის გუნდს წაგება არ ჰქონდა. ამა თუ იმ საკითხზე უკვე გამაჩნდა საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ შუა სეზონში ძირეული რეფორმების გატარება არ ჩავთვალე მიზანშეწონილად. ის კი ვიცოდი, რომ „ბასკოს“ გაცილებით მეტი პოტენცია გააჩნდა, ვიდრე ამას ავლენდა.

თავიდანვე გეტყვით, შეიძლება ითქვას, გამოუყენებელი დარჩა ეს პოტენცია. ჩემპიონები კი გავხდით, მაგრამ გუნდის თამაშით თითქმის არასოდეს დავრჩენილვარ კმაყოფილი. ცხადია, იყო მატჩები, როცა „ბასკო“ მეტნაკლებად ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ თვითონ თამაშის ხარისხი ჩემთვის მაღალი არ გახლდათ. ეს იქნებ იმიტომაც მოხდა, რომ მე არ გავრისკე და კარდინალურ ცვლილებებს არ მივმართე, მაგრამ ამასაც აქვს ახსნა: „ბასკო“ სულ ახალშექმნილი იყო, კალათბურთელები მიუჩვეველნი იყვნენ ერთმანეთის მხარდამხარ თამაშს, ამიტომაც, შესაძლოა, ცვლილებებს უარყოფითად ემოქმედა გუნდზე. ხსენებულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია „ბასკოზე“, ჩვენ მთლიანობაში ძალიან არასტაბილურად გამოვდიოდით. ყოველივე ფინალურ სერიაშიც ნათლად წარმოჩინდა.

**— პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ კონკრეტულად რა შეცვალეთ გუნდის სათამაშო ტაქტიკაში?**

— ჩემი აზრით, ასეთ დროს ძალიან ბევრს წყვეტს ფსიქოლოგიური მომენტი. მიმაჩნია, რომ „აზოტთან“ პირველ მატჩში „ბასკო“ სწორედ ფსიქოლოგიურად არ იყო მზად. იმაში ცუდი არაფერია, საკუთარი წარმატების რომ გჯერა, მაგრამ ამ მხრივ ცოტა ზედმეტი მოუვიდათ ბიჭებს და ვფიქრობ, პირველ მატჩში დამარცხებაც ამან განაპირობა. ამიტომ მიზეზი ტაქტიკაში კი არა, საკუთარ თავში იყო საძებნი, გუნდს სათანადო მობილიზება სჭირდებოდა და მუშაობაც სწორედ ამ მხრივ წარვმართეთ. ერთიცაა, მწვრთნელებს ტაქტიკური ვარირების საშუალება არც მოგვეცა, რადგან უკანა ხაზში ძალიან მწირი არჩევანი გვქონდა. მამუკა აბრამიძის ტრავმამ და დანარჩენი პერიმეტრის მოთამაშეების არცთუ სახარბიელო ფორმაში ყოფნამ „აზოტს“ დიდი უპირატესობა მისცა უკანა ხაზში. ხშირად იყო მომენტი, როცა ვლადიმერ ბეჟანიშვილს ვათამაშებდით გამთამაშებლის პოზიციაზე, რაც „ბასკოსთვის“ ფუფუნება სულაც არ გახლდათ, ეს უფრო გამოუვალი მდგომარეობით იყო გამოწვეული.

**— ისე ჩანდა, „ბასკოს“ უკანახაზელთა უმთავრესი ამოცანა აზოტელი რამაზ გოგობერიშვილის გაუვნებლება იყო...**

— რუსთაველთა ლიდერის წინააღმდეგ, ვფიქრობ, ძალიან სუსტად ითამაშა „ბასკომ“. საბოლოო ჯამში გამარჯვებულები კი გამოვედით, მაგრამ მთლიანობაში ბიჭებმა გოგობერიშვილის ამოკეტვა ვერ მოახერხეს. ეს ძირითადად ალეკო დავითულიანს ეკისრებოდა, რომელსაც „ვითას“ შემადგენლობაში ყოფნისას გოგობერიშვილის წინააღმდეგ თამაში გაცილებით უკეთ გამოსდიოდა. წინასწარ რამდენიმე დაცვითი ვარიანტი დავამუშავეთ, რაც, ჩემი აზრით, ვერ განვახორციელეთ, გოგობერიშვილს სამოქმედო სივრცე ვერ შევუზღუდეთ.

**— რა მიგაჩნიათ „აზოტის“ სუსტ და ძლიერ მხარეებად?**

— სუსტ წერტილებს თავადვე უნდა მიაგნონ რუსთაველებმა. ალბათ, ყოველივე „აზოტის“ მწვრთნელებსაც კარგად მოეხსენებათ, ამიტომ ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მეტოქის უპირატესობა კი ისაა, რომ სტაბილური შემადგენლობა ჰყავს, კალათბურთელები ჩინებულად არიან შეთამაშებულნი და როლებიც ზუსტადაა გადანაწილებული. „აზოტს“ ყველა რგოლში ჰყავს ლიდერი და ყველამ ზედმიწევნით იცის, კონკრეტულ მომენტში რა მოეთხოვება. როცა რუსთაველთა პლუსებზე ვსაუბრობთ, აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ გოგობერიშვილიც, იგი „აზოტისთვის“ ფასდაუდებელ სამუშაოს ასრულებს.

**— როგორ ფიქრობთ, ფინალში „ბასკოს“ მეტოქე სტუ რომ ყოფილიყო, უფრო გაგიძნელდებოდათ ჩემპიონობა?**

— ეს ძალიან რთული კითხვაა. შეუძლებელია წინდაწინ რაიმის განჭვრეტა, შესაძლოა მეტ წინააღმდეგობას წავწყდომოდით, იქნებ უფრო ნაკლებსაც. ვინ იცის, ეგებ ფინალში სდასუ-სთან უფრო გაგვჭირვებოდა, არც ეს არის გამორიცხული.

„ბასკომ“ ფინალისტობა პირველმა დაიბევა და აქედან გამომდინარე, მოსამზადებელი დროც მეტი ჰქონდა. თვალს ვადევნებდით მეორე ნახევარფინალში მიმდინარე მოვლენებსაც და ვვარაუდობდით, რომ სწორედ „აზოტი“ იქნებოდა ჩვენი მოწინააღმდეგე. ფინალში სტუ რომ გასულიყო, ჩვენს თამაშს სხვაგვარად წარვმართავდით, „აზოტთან“ კი სულ სხვანაირად ვიმოქმედეთ.

**— შეუძლებელია, მსაჯობაზეც არ ვთქვათ. ძალიან ბევრი მიიჩნევს, რომ „ბასკომ“ ჩემპიონობას სწორედ არბიტრთა დახმარებით მიაღწია. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— არ მახსოვს, ჩემპიონი გავმხდარიყავი და „აზოტს“ მსაჯებზე არ გადაეტეხოს ჯოხი. ადამიანურად ნამდვილად მესმის მათი, ზედიზედ სამი წელია, რუსთაველები ფინალში გადიან, სერიაშიც ყოველთვის ანგარიში მიჰყავთ და საბოლოოდ მაინც მარცხდებიან. ამასთან შეგუებას დიდი ვაჟკაცობა უნდა. ის უფრო გასაკვირია, კიდევ როგორ ახერხებენ რუსთაველები მობილიზებას.

შენი მეტოქე წაგებას მსაჯებს რომ დააბრალებს, ეს კიდევ ასატანია. საწყენი ის უფროა, პრესა-ტელევიზია არასწორ შეფასებებს რომ აძლევს მოვლენებს, ყურმოკრულ სისულეებზე ლაპარაკს ჯობია კალათბურთზე ისაუბრონ. უამრავი არგუმენტი შემიძლია მოვიყვანო იმისა, რომ მსაჯები „ბასკოს“ საზიანოდაც არაერთხელ შეცდნენ, მეც ძალიან ბევრი სათქმელი დამიგროვდა, მაგრამ არ მსურს, ვინმეს გული ვატკინო და ჭრილობაზე მარილი დავაყარო. განა მე არ წამიგია თამაში? ასეთი შემთხვევაც ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ ერთხელ მაინც თუ გაიხსენებთ, რომ მსაჯებზე ენა ცუდად მომბრუნებოდეს?

**— ბატონო ზურაბ, ის, ვინც ფიქრობს, რომ „აზოტის“ მარცხი მსაჯების ნამუშევია, ერთ ხელჩასაჭიდ არგუმენტსაც იშველიებს. „ბასკოს“ ხელმძღვანელობა ძალიან დაეხმარა ეროვნულ ნაკრებს და, რა გასაკვირია, ფედერაციაც ბათუმელთა მხარეს თუ გადაიხარაო, ამბობენ.**

— ზღვისპირელებმა მართლაც ბევრი გააკეთეს ნაკრებისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფედერაციას „ბასკოს“ ჩემპიონობა უფრო ხელს აძლევდა. რა ჩემი საქმეა, ვინ რითი იყო დაინტერესებული, ჩემპიონი გავხდი და შემარგე, რა დაგიშავე, რატომ მითხრი ძირს? თუ ასეა, მეც შემიძლია ვთქვა, რომ შარშან რუსთავის ორმოცდაათი წლის იუბილე იყო და ფედერაციას „აზოტის“ ჩემპიონობა უფრო აინტერესებდა, მაგრამ განა მართალი იქნება ასეთი ლაპარაკი?

ასეთი ჭორები ძალიან ვნებს ქართულ კალათბურთს. ძლივს ხალხი გამოჩნდა, სერიოზულად დაინტერესდა კალათბურთით და მათაც ნუ მოვუკლავთ საქმის კეთების სურვილს. რა არის ცუდი იმაში, რომ „ბასკო“ ნაკრებს ეხმარება, მადლობის მაგიერია?

კარგი, ბატონო, აღარ დაეხმარება „ბასკო“ ეროვნულ გუნდს და ამით მსგავს ლაპარაკებსაც ბოლო მოეღება, მაგრამ, ფედერაციასაც რომ არ შეუძლია ნაკრების მიხედვა? აგერ, ახლა თითქმის ყველა ლეგიონერი ჩამოსულია და შემიქმნან პირობები, ერთი კვირით მაინც შევკრიბო გუნდი. შეძლებენ?

უბრალოდ, ლოგიკას ვერ ვხვდები, ხალხი ყველაფერს აკეთებს ნაკრების ხელშესაწყობად და ისე გამოდის, აქეთ ვალს ვადებთ და ვადანაშაულებთ.

**— ორიოდ სიტყვით „ბასკოს“ სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...**

— გუნდში გადახალისება მიდის. უკვე გადმოვიბირეთ ორმოცაძე, უსტიაშვილი და ნიკოლაძე, აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სხვა კალათბურთელებთანაც, რომელთა ვინაობასაც სულ მალე შეიტყობთ. ის, ვინც ჩვენს მოთხოვნებს ველარ დააკმაყოფილებს, სხვა გზას მოძებნის. ახალი სეზონისთვის უკვე შევუდექით მზადებას, ძალიან დიდ ყურადღებას დავუთმობთ მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას, რაც მთლიანად ქართული კალათბურთის უსუსტესი წერტილია. გარდა ამისა, ევროპაზეც გვსურს თამაში და ყველა ღონეს ვიხმართ, ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის ორგანიზატორებმა თავიანთ ტურნირში მონაწილეობის უფლება რომ მოგვცენ. ერთი სიტყვით, „ბასკო“ ძალიან დიდ გეგმებს ისახავს და თუ საქმიანობა სწორად წარვმართეთ, ადრე თუ გვიან შედეგსაც აუცილებლად მივიღებთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ძველი ალი და ახალი წყალი გაიბუტნენ

**ჰელსინკში** მიმდინარე საწყლოსნო სახეობების წარმომადგენელთა ევროპის ჩემპიონატზე თხრობას ჩვენი და უცხოელი ქართველი მოცურავეების ამბებით დავიწყებთ.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისელმა ზურაბ ბერიძე 100 მეტრზე კროლით ნახევარფინალს მიღმა დარჩა, 50 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მისი ბედი გაიზიარა მისივე თანაგუნდელმა ზურაბ ხომასურიძემ. ხომასურიძემ გუშინ 200 მეტრზე თავისუფალი სტილითაც სცადა საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვა, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა, როცა დისტანცია 2.01,36 წამში დაფარა.

მაკელანრინის „ოლიმპიური" აუზი წარუმატებელი აღმოჩნდა ტომით ქართველი უკრაინელი სვიატოსლავ სვანიძისთვისაც. მანაც ისევე, როგორც ხომასურიძემ, ნახევარფინალში ვერ გააღწია (1.52,34).

ბელარუსთა ქართველმა ვალერიან ხუროშვილმა პოლონელ დომინიკ მატუზევიჩთან ერთად მეთოთხმეტე საზიარო შედეგით (1.52,12) 16 საუკეთესოს შორის დაიბევა ადგილი.

როგორც იქნა, გუშინ ერთი ევროპის რეკორდი დაემხო. მისი შემოქმედი გახლავთ გერმანელი სტივ ტელოკი. მან 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში 15 ივნისს ბერლინში გამართულ გერმანიის ჩემპიონატზე დამყარებული თავისივე კონტინენტის რეკორდი (25,63) გააუმჯობესა, როდესაც ფინალში (25,60) შარშან სტამბოლში მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნა, 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში კი ეს ვერ შესძლო. მეტიც — ფინალს მიღმა დარჩა.

აღსანიშნავია ლიტველი დარიუს გრიგალიონისის გამოსვლაც. მას სულ ცოტა დააკლდა, რათა თავად გამხდარიყო ევროპის რეკორდსმენი, რადგან გერმანელს 0.01 წამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მესამე ადგილი წილად ხვდა ესპანელთა იმედს, სამშაბათს 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულ დავიდ ორტეგას (26,00)



REUTERS ჰელსინკიდან

ფლავია რიამონტი

ასპარეზობის სხვა მონაწილეთაგან საგულისხმოა იტალიელი მასიმილიანო როსოლინის გამოსვლა. როსოლინიმ, რომელიც „დიდ თუ პატარა" წყალში, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების „ვერცხლ-ბრინჯაოს" ნაკლებობას არ განიცდის, როგორც იქნა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში „დიდი წყლის" ოქროს მედალი მოიპოვა (2.00,62), თუმცა აქამდე იგი „პატარა წყლაშიც" იყო კონტინენტის ჩემპიონი (400 მეტრზე თავისუფალი სტილით).

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მეორე იყო 1993 და 1995 წლების ბრინჯაოს მედალოსანი გერმანელი კრისტიან კელერი (2.02,02), ხოლო მესამე — 1997 წლის ვერცხლის მედალოსანი ფრანგი, ქსავიე მარშანი (2.02,06).

* * *

**ევროპის** ჩემპიონობა დაიბრუნა რუსმა წყალში მხტომელმა დმიტრი საუტინმა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომისას მან დიდი უპირატესობით აჯობა მეტოქეებს. საუტინის შედეგს (681,48) თითქმის 40 ქულით ჩამორჩა გერმანელი სტეფან არენსი (641.94), მესამეზე კი გავიდა რუსის მეწყვილე ალექსანდრ დობროსკოკი, რომელთანაც სამშაბათს იმავე ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში „ვერცხლი" მოიპოვა.

— ეს განსაკუთრებული შეჯიბრება იყო. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი შედეგით. სიდნეის ოლიმპიადაზეც გასამარჯვებლად მივდივარ, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ოლიმპიადაზე ასპარეზობა ძალიან განსხვავდება ამისგან — თქვა საუტინმა, რომელსაც ევროპის ჩემპიონის ტიტულები 1995 და 1997 წლებშიც მოუპოვებია და მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაუმარჯვია 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10 მეტრიანი კოშკიდან ხტომაში.



REUTERS ჰელსინკიდან

სტივ ტელოკი

ალსანიშნავია, რომ საუტინმა ევროპის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა ბრიტანელ ტონი ალის, რომელმაც ასეთ წარმატებას შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე სტამბოლში, 37 წლისამ მიაღწია.

ისიც საინტერესოა, რომ ალის გამარჯვება ალბიონელთა პირველი ევროპული ჩემპიონობა ყოფილა წყალში ხტომაში მას შემდეგ, რაც 1962 წელს მისმა თანამემამულე ბრაიან ფელპსმა იმარჯვა. ამჯერად ალის ახალმა წყალმა „აწყინა" და ფინალს მიღმა დარჩა.

**გიგა გურასაშვილი**

| ქალები | |
|---|---|
| თავისუფალი სტილი. 800მ | |
| 1 ფლავია რიამონტი (შვეიცარია) | 8.29,16 |
| 2 ჩანტალ სტრასერი (შვეიცარია) | 8.31,36 |
| 3 კირსტენ ვლიგუისი (ჰოლანდია) | 8.37,94 |
| **კაცები** | |
| ბატერფლაი. 200 მ | |
| 1 ანატოლი პოლიაკოვი (რუსეთი) | 1.56,73 |
| 2 ჯეიმს ჰიკმანი (ბრიტანეთი) | 1.58,44 |
| 3 იოან გერგელი (უნგრეთი) | 1.58,54 |
| ბრასი. 200 მ | |
| 1 დმიტრი კომორნიკოვი (რუსეთი) | 2.13,09 |
| 2 დომენიკო ფიორვანტი (იტალია) | 2.14,87 |
| 3 მაქსიმ პოდოპრიგორა (ავსტრია) | 2.15,07 |






ეროვნული ბიბლიოთეკა




დავით ციმაკურიძე, ნონა გაფრინდაშვილი, მამუკა ხაზარაძე, ელგუჯა ბერიშვილი და ემზარ ზენაიშვილი

# ნგრევის სამინისტროებით სოფელი ვერ აშენდება

საქართველოს ოლიმპიელებს მოსამზადებლად საჭირო თანხის გამოყოფაზე მთავრობისგან თუ ქვეყნის პრეზიდენტისგან დაპირებებიც აღარ ესმით. საქმე კატასტროფამდე მისულა, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საპრესკონფერენციოდ მიგვიწვია. როცა საამისოდ მან ჩვენი ქვეყნის მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროს შენობაში დაგვპატიჟა, ძალზე გაგვიკვირდა, რადგან ამქვეყნად ასეთი ორგანიზაციის არსებობა ვეღარც წარმოგვედგინა. ეს ისე, ხუმრობით, თორემ ამ სამინისტროს რას ვერჩით, ზოგადად კი ჩვენს სამინისტროებს, მეტ-ნაკლებად, ალბათ, რღვევისა და ნგრევის სამინისტროების სახელი უფრო შეეფერებათ, რადგან მათ საქმიანობას არც არქიტექტურის ხელი ეტყობა და არც სოფლის მშენებლისა. ასე რომ არ იყოს, არც ამდენი უმუშევარი გვეყოლებოდა, არც ამდენი უხელფასო, არც პირამოკერილები და არც იმ პრეს-კონფერენციის გამართვა გახდებოდა საჭირო. თუმცა, საპრესკონფერენციო დარბაზი ფრიად მშვენიერი აღმოჩნდა, უფრო სწორედ კლუბი „გრანდი“, სადაც ის ჩატარდა.

პრეს-კონფერენციამდე სწორედ „გრანდის“ პრეზენტაცია გაიმართა. იგი სპორტულ-საინფორმაციო-გასართობ-ოლიმპიური კლუბი ყოფილა, დამფუძნებლები კი ტელევიზიის მეოთხე არხი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საფინანსო ჯგუფი „არაგვი“. იქ დამსწრე საზოგადოება უმალ კლუბის წევრებად გაგვაერთიანეს, სპორტულ ჟურნალისტებს კი გვითხრეს, თქვენთან თანამშრომლობის გარეშე ჩვენი საქმიანობა წარმოუდგენელიაო, სამომავლოდ კი დიდი და კარგი გეგმები დაუსახავთ...

მაგრამ ეს სხვა თემაა, იქ კი სულ სხვა მიზნით მივედით.

მიუხედავად იმისა, რომ „გრანდში“ ფრიად სასიამოვნო ატმოსფერო იყო, იქიდან მაინც გულდამძიმებულნი გამოვედით. გუნება-განწყობილება ვერც მაგიდებზე კოხტად გაწყობილმა ხილეულმა გამოგვიკეთა, ვერც ჩაციებულმა ლუდმა „ყაზბეგმა“, ვერც თითო ბოკალმა შამპანურმა და ვერც თავაზიანმა მასპინძლობამ. ის, რაც იქ მოვისმინეთ, ნორმალურ კაცს გულს ატკენდა და შეაძრწუნებდა. ამ სატკივარზე გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, როცა სეოკ-ის აღმასკომის ანგარიში ჩაგაბარეთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც შეგახსენებთ — საუბარია საქართველოს ოლიმპიელებისთვის მოსამზადებლად საჭირო ცოტაოდენი თანხის გამოყოფაზე, რათა რაც ამ ოთხ წელიწადში წვითა და დაგვით გაკეთებულა, ლიცენზიამოპოვებულ სპორტსმენებს წყალში არ გადაეყაროთ. ამ სპორტსმენებისთვის აუცილებელია ოლიმპიადამდე დარჩენილი ორი თვით თავის როგორმე გატანა, რაშიც ძირითადად ვარჯიშს, შეკრებების ჩატარებას და ერთ-ორ შეჯიბრებაში გამოსვლას ვგულისხმობთ. თუმცა, ზოგ ჩვენს სპორტსმენს სავარჯიშო დარბაზამდე მისაღწევი გზის ფულიც არ აქვს.

აი, სწორედ ამ გულისტკივილმა მიიყვანა პრეს-კონფერენციაზე არა მხოლოდ ჩვენი ახლანდელი ოლიმპიელები, ძველი ოლიმპიური ჩემპიონები, მათი მწვრთნელები, ოლიმპიზმისა და სპორტის მესვეურნი, ჟურნალისტები, არამედ პოლიტიკაში მოღვაწენიც, მათ შორის ნოდარ ნათაძე, გოგა ხაინდრავა...

ეს ხალხი ერთად იმად შეყრილა, რომ სხვადასხვა დონეზე, თვით ქვეყნის პრეზიდენტის ჩათვლით, თანხის გამოყოფაზე დაპირებების აღარავის სჯერა. სპორტსმენები ახლა საზოგადოების, ბანკირების, მეწარმეების, ბიზნესმენების და სხვათა თანადგომის იმედითღა არიან, რათა როგორმე მათი შეწევნით საქმეს თავი მოებას. მარტივად რომ ვთქვათ, საქმე სამათხოვროდ და სამოწყალოდ გამხდარა.

— ამ ხალხმა თუ მოუმზადებლად მოიპოვა სიდნეის ოლიმპიური თამაშების 36 ლიცენზია, წარმოიდგინეთ, რას იზამენ ნორმალური ვარჯიშისას. ჩვენი უნიათო მთავრობის გამო სპორტსმენთა ხვეწნა-მუდარა ისმის. ამაზე ცრემლები მომდის და გული მიკვდება. მათი მომზადებისთვის სახსრების მოზიდვა სახალხო მოძრაობად უნდა გამოვაცხადოთ. ჩვენ გვახსოვს ახლო წარსულში ამგვარი სახალხო მოძრაობები, რითაც დიდი სახსრები გროვდებოდა. გროვდებოდა უბრალო ხალხისგან. ამიტომ მთელ საქართველოს უნდა მივმართოთ. მარტო თბილისში 500 რესტორანია. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მაღაზია, ბენზინგასამართი, შპს და მისთანებია. ყველამ რომ ცოტაოდენი თანხა გაიღოს, მათ საქმიანობას არაფერი დაეტყობა, სპორტსმენებს კი დიდად დაეხმარება მომზადებაში, — თქვა გოგა ხაინდრავამ.

სეოკ-ის გუშინწინდელი აღმასკომის სხდომაზე ოლიმპიელთა დახმარების თაობაზე გამოთქმული თავიანთი მზადყოფნა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზეც დაადასტურეს მამუკა ხაზარაძემ და გოგი თოფაძემ, ვინც გაკვირვებულია მთავრობის პოლიტიკით, რის შედეგადაც ოლიმპიურ თამაშებამდე 2 თვით ადრე სპორტის დაფინანსებამ სეკვესტრი განიცადა. ამიტომ თოფაძეცა და ხაზარაძეც მოუწოდებენ ქართველ ბიზნესმენებს და დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კოლეგები ერთად დადგებიან იმ საქმეში, რომელსაც სპორტსმენთა მოსამზადებლად სახსრების მოზიდვა ჰქვია. პირველი მაგალითის მიმცემნი კი თავადვე არიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ქართველ სპორტსმენთა

# მიმართვა

## ქართველი ბიზნესმენებისა და კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებისადმი

უპირველესად, მადლობას მოგახსენებთ იმ ყურადღებისა და დახმარებისთვის, რომელსაც ბევრი თქვენგანი უწევდა და უწევს ქართულ სპორტს, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს.

ცნობილია, რომ ორ თვეში სიდნეიში დაიწყება ამ საუკუნის უკანასკნელი — ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები. მასში ასპარეზობის უფლება უკვე მოვიპოვეთ 35 ქართველმა სპოტსმენმა სპორტის 13 სახეობაში.

ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ პრაქტიკულად გამორიცხა თამაშების მზადების საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობა. მდგომარეობა კატასტროფულია. სასწორის პინაზე დგას ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის დღევანდელობაც და მომავალიც. აუცილებელია ოლიმპიური თამაშებისთვის თუნდაც გარკვეულ დონეზე მზადება და თამაშებში მონაწილეობა, თითოეული ჩვენგანის და ჩვენი მწვრთნელების მაქსიმალური ძალისხმევა სიდნეიში წარმატებით საასპარეზოდ.

ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის ინტერესებიდან გამომდინარე, ოლიმპიური თამაშების, მასში მონაწილეობის და შესაძლო წარმატებით გამოსვლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქვეყნისა და ხალხისთვის გთხოვთ, მხარში ამოგვიდგეთ და დაგვეხმაროთ თამაშებისთვის მზადების საქმეში.

ჩვენ კი შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

**საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრები**

# დრო ფულია
## ქართველ ოლიმპიელებს არც ერთი აქვთ და არც მეორე



**გოგი თოფაძე** *(„ყაზბეგი-კასტელის“ პრეზიდენტი).* „ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე სპორტისთვის ფული შემცირება ყოვლად გაუმართლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად სპორტი პრაქტიკულად არ დაფინანსდება. ოლიმპიადა პიკია, რომლისთვისაც სპორტსმენი ემზადება, ვარჯიშობს, ფორმის შესანარჩუნებლად რაღაცას იკლებს, ლიცენზიას იღებს, მაგრამ უფულობის გამო ამ უდიდეს ტურნირზე ვერ მიდის. მაშ, რატომღა წვალობს? ეს უჩვეულო მოვლენაა. ყველამ ვიცით, რა დღეშია განათლება, კულტურა, მედიცინა, სპორტი... ისეთ პირობებში სეკვესტრი ნუთუ გამოსავალია? ჩემთვის გაუგებარია, ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე სპორტს ბიუჯეტი როგორ უნდა შეუმცირო.

თუ ქართულ ფენომენს გავითვალისწინებთ, ალბათ, ჩვენი წარგზავნილები მაინც გაგვახარებენ, თუმცა მათ მოსამზადებელი პირობები არა აქვთ. ვუსმენდი სპორტსმენებს და ვფიქრობდი, როგორ უნდა ებრძოლონ ისინი უცხოელ მეტოქეებს, რომლებიც ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან. თუმც ქართული ხასიათისა მაინც მჯერა. მიმაჩნია, რომ ვისაც საშუალება აქვს, ვისაც შეუძლია — იქნება ეს ბანკირი, ბიზნესმენი, მეწარმე თუ სხვა, ჩვენს ოლიმპიელებს გვერდში უნდა დაუდგეს, რათა მათ საქართველო ღირსეულად წარმოაჩინონ“.



**ემზარ ბედინეიშვილი** *(ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში).* „ათი თვეა, შეკრება არ გაგვივლია და რა უნდა ვთქვა! ოლიმპიადამდე ორი თვე დაგვრჩა და ახლა მაქსიმალურად კარგი პირობებიც რომ შეგვიქმნან, საუკეთესო ფორმაში შესასვლელად დრო შეიძლება მაინც არ გვეყოს. სიტუაცია ურთულესია და რა გვეშველება, არ ვიცი. ახლაც რომ მოგვაქციონ ყურადღება, იქნებ რაღაცას მაინც მივაღწიოთ. თუ არა და მხოლოდ ოლიმპიელებად დავრჩებით“.



**ბეგი დარჩია** *(ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).* „ოლიმპიადისთვის გუნდი ფალავანთა კლუბში ემზადება. ბაკურიანში კი ვაპირებთ წასვლას შეკრებაზე, თუ დაგვაფინანსეს. მზადების თავდაპირველი გეგმა უფულობის გამო ორჯერ შევცვალეთ. აქამდე შეკრება არ ჩაგვიტარებია. ჩემს გუნდში არიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ სათანადო პირობები არა აქვთ. გული მტკივა, ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ბევრისთვის ეს ბოლო შანსია. ჯერ დრო კიდევ არის და თუ ცოტათი ხელს შეგვიწყობენ, ჩემი ბიჭები მედლებისთვის იბრძოლებენ“.



**შოთა ხაბარელი** *(ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).* „ხვალ საერთო ფიზმომზადებაში ორკვირიან შეკრებას ვიწყებთ ბაკურიანში, მაგრამ ჯერ მხოლოდ ოთხი დღის სამყოფი ფული გვაქვს და ვაითუ უკან გამოგვაბრუნონ... გუნდში ტრავმირებული არავინაა და ოლიმპიადისთვისაც გულმოდგინედ ემზადებიან, მაგრამ ბიჭებზე ფსიქოლოგიურად ძალიან მოქმედებს ის, რომ ათი თვეა, ხელფასები არ მიუღიათ — ბევრს ხომ ოჯახიც ჰყავს სარჩენი. შეკრებაც კარგია, მაგრამ უპირველესად დავალიანებაა გასასტუმრებელი. ჩემი ნაკრების წევრებს მედლების მოპოვება შეუძლიათ, ოღონდ საამისოდ გვერდში ამოდგომა სჭირდებათ“.



**დავით ციმაკურიძე** *(პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი).* „ოლიმპიადა სპორტსმენისთვის უმთავრესია. ის ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ხელშეუხებელია. ამიტომ სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადება ყველა ქართველმა თავის უშუალო მოვალეობად უნდა მიიჩნიოს. ჩვენს მოჭიდავეებს, ძალოსნებს, სხვებსაც ძალუძთ ავსტრალიაში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა. მათ ყველამ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი. ოლიმპიური მედალი ხომ უმაღლესი მიღწევაა სპორტსმენისთვის.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს საზოგადოებრიობის, გულშემატკივრების ინფორმირებას იმ განსაკუთრებულად სერიოზულ პრობლემებზე, რომლებიც შეიქმნა ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად ჩაშლილია გუნდის ელემენტარულ დონეზე მაინც მზადება, რეალური საფრთხის წინაშეა სპორტსმენთა უზრუნველყოფა საშეჯიბრო, სპორტული და სააღლუმო ფორმით, აუცილებელი ლიტერატურის გამოცემა, მედიკამენტებით მომარაგება...

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელობის, თვით სპორტსმენთა და მათი მწვრთნელების საგანგაშო წერილები, გამოსვლები პრესაში, რომლებიც მიმართული იყო და არის ქვეყნის პირველი ხელმძღვანელების მიმართ, ფაქტობრივად იგნორირებული და პრაქტიკულად რეაქციის გარეშეა დატოვებული. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ჯერ კიდევ აპრილში შექმნილ ოლიმპიური თამაშების ხელშემწყობ კომისიას დღემდე არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია.

ისედაც უკიდურესად რთული სიტუაცია წარმოუდგენლად გამწვავდა ბოლო პერიოდში — თამაშების გახსნამდე დღეები რჩება, დაფინანსება კი ფაქტობრივად შეწყდა. რას უნდა ველოდეთ ჩვენი სპორტსმენებისგან, როცა ივნისში საერთო ჯამში, სპორტზე მხოლოდ ათი ათასი ლარი გამოიყო, ანუ დაახლოებით 30-ჯერ ნაკლები, ვიდრე ელემენტარული პროგრამირების შესრულებას სჭირდებოდა.

ასეთი დამოკიდებულება აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები სრულად ვერ აცნობიერებენ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის და თუნდაც ერთი სპორტსმენის წარმატებით გამოსვლის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, სპორტისადმი ასეთი დამოკიდებულება ფაქტობრივად წერტილს უსვამს ქართული სპორტის მდიდარი და საამაყო ტრადიციების ხვალინდელ დღეს, გამოუსწორებელ მორალურ ტრავმას აყენებს იმ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, რომლებმაც მოიპოვეს სიდნეიში ასპარეზობის უფლება და რეალურად გადაულახავ წინაალმდეგობას უქმნის მათ.

ჩვენ — სპორტის ხელმძღვანელები, სპორტსმენები და მწვრთნელები, კარგად ვაცნობიერებთ ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ამიტომაც არ ვითხოვთ განსაკუთრებულ პირობებს. ვითხოვთ მინიმალურს, მხოლოდ აუცილებელს, რომელიც ფულად ერთეულებში დაახლოებით ერთი მილიონი ლარით შემოიფარგლება, რაც საჭიროა სავარჯიშოდ, ეკიპირებისთვის, საინფორმაციო გამოცემებისა და მგზავრობისთვის, საპრიზო ფონდისა და სამედიცინო უზრუნველყოფისთვის და სხვა ხარჯებისთვის, რაც დაკავშირებულია ასეთ სერიოზულ ღონისძიებაში მონაწილეობასთან.

ისიც უნდა ითქვას, რომ სოკ-ის დახმარებით, სეოკ-ის და სხვა სპორტული სტრუქტურების ძალისხმევით მრავალი, ძალზე სერიოზული ხარჯების გაღება ბიუჯეტიდან საჭირო აღარ არის.

სამწუხაროდ, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სიდნეიში ქართველ სპორტსმენთა გამოსვლის შედეგები არ იქნება მათი პოტენციური შესაძლებლობების შესაბამისი, რაც ძალზე გულდასაწყვეტი და სავალალოა.

სეოკ-ი კიდევ ერთხელ სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრს ბატონ გიორგი არსენიშვილს, სხვა ხელმძღვანელებს, დაინტერესდნენ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის პრობლემატიკით და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

# ქართული სპორტის გულშემატკივრებს

ამ წერილით არ მივმართავთ სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებს — არც აღმასრულებელსა და არც საკანონმდებლოს.

არც ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელის — ბატონი პრეზიდენტის ყურადღებას მივიპყრობთ.

ჩვენ თქვენ მოგმართავთ — საქართველოს სპორტისა და თითოეული ჩვენთაგანის გულშემატკივრებს, თქვენ ვისაც უანგაროდ გიყვართ სპორტი და გჯერათ ჩვენი შესაძლო წარმატების.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის, თუ რა დროში გვიწევს ცხოვრება და საქმიანობა, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, რა დღეშია ჩვენი სამშობლო...

მკრეხელობაა, ასეთ დროს ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ მოვითხოვოთ სახელმწიფოსგან. ამიტომ არც NACA-ში ვარჯიშებს მოვითხოვთ და არც აკაპულკოში დასვენებას, არც ხიზილალებით გაჯერებულ კვებას და არც ზღაპრულ ჰონორარებს, მაგრამ ბორჯომში ან შავი ზღვის პირას იქნებ მაინც მოხერხდეს შეკრების ჩატარება, ვარჯიშის მერე წყლის გადავლება, საქართველოში შეკერილ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობა, მიზერული ხელფასებისა და სტიპენდიების მოცემა.

მავან სახელმწიფო მოხელეს უთქვამს, სულაც ნუ წავლენ სიდნეიში, უჩვენოდაც ჩატარდება ოლიმპიური თამაშებიო. მართლაც, მსოფლიო კატასტროფა არ მოხდება. „უბრალოდ“ სიდნეიში 200 ქვეყნიდან ერთით ნაკლები იასპარეზებს; მსოფლიოს 6 მილიარდი მოსახლეობიდან ხუთმილიონიან საქართველოს არ ეყოლება წარმომადგენელი, ათი ათას სპორტსმენში არ იქნება 35 ლიცენზირებული ქართველი.

დღეს სპორტისადმი ასეთი დამოკიდებულება, ყველაფრის მიუხედავად, უმეცრებაა და დანაშაულიც... ეტყობა, მავანთ ოლიმპიური თამაშები მართლაც თამაშობა ჰგონიათ.

დაუჯერებელია, რომ სახელმწიფოში ერთი მილიონი ლარი ვერ გამოინახა, რომ რაღაც დონეზე მოვემზადოთ, რაღაც დონეზე გავემგზავროთ, რაღაც დონეზე ჩაგვაცვან და დაგვახურონ, რაღაც დონეზე გვიმკურნალონ...

ამიტომ ბოდიშს გიხდით გულშემატკივრებს, ვინც ჩვენგან მედლებს ელით — ასეთ პირობებში სიდნეიდან ხელცარიელნი დავბრუნდებით. ოლიმპიურ თამაშებზე კარგად ნავარჯიშევ სპორტსმენს არა აქვს წარმატების გარანტია და ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდეს?

ჩვენ თავს სულაც არ ვიზღვევთ შესაძლო წარუმატებლობისაგან.

მაგრამ ერთგულ გულშემატკივარს ვპირდებით, რომ ყველაფერს ვიღონებთ, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

თუ ღმერთი და სპორტული იღბალიც გადმოგვხედავს და რომელიმე ჩვენგანი ოლიმპიურ მედალს დაეუფლება, ნუ ჩათვლით ამას კანონზომიერებად და ლოგიკურად. ამით დათვურ სამსახურს გავუწევთ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის მომავალს.

*გიორგი გუგავა, ივერი ჯიქურაული, ნინო სალუქვაძე, ნესტორ ხერგიანი, ელდარ კურტანიძე, აკაკი ჩაჩუა, გიორგი მჭედლიძე, გიორგი რევაზიშვილი, ტარიელ მელელაშვილი, გენადი ჩხაიძე, მუხრან ვახტანგაძე, ალექსანდრე ცერცვაძე, კობა გულიაშვილი, რუსუდან ხოფერია, ალექსი დავითაშვილი, გიორგი ასანიძე, მუხრან გოგია, ხათუნა ფუტკარაძე, ინგა თავდიშვილი*

## საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობა ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე

### სპორტსმენები, რომლებმაც მოიპოვეს უფლება იასპარეზონ ოლიმპიურ თამაშებში

**ძიუდო**

1. ნესტორ ხერგიანი (60 კგ)
2. გიორგი ვაზაგაშვილი (66)
3. გიორგი რევაზიშვილი (73)
4. გიორგი გუგავა ან ზურაბ ზვიადაური (90)
5. ივერი ჯიქურაული (100)
6. ალექსი დავითაშვილი (მძიმე)

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

1. ალექსანდრე ცერცვაძე (54 კგ)
2. კობა გულიაშვილი (58)
3. აკაკი ჩაჩუა (63)
4. ტარიელ მელელაშვილი (76)
5. მუხრან ვახტანგაძე (85)
6. გენადი ჩხაიძე (97)
7. მირიან გიორგაძე (მძიმე)

**თავისუფალი ჭიდაობა**

1. დავით პოღოსიანი (58 კგ)
2. ოთარ თუშიშვილი (63)
3. ემზარ ბედინეიშვილი (69)
4. გურამ მჭედლიძე (76)
5. ელდარ კურტანიძე (97)
6. ალექსი მოდებაძე (130)

**ძალოსნობა**

1. გიორგი ასანიძე (85 კგ)
2. მუხრან გოგია (105)
3. ვალერი სარავა (+105)

**ტყვიით სროლა**

1. ნინო სალუქვაძე (სპორტული, პნევმატური)
2. ნინო უჩაძე (სპორტული, პნევმატური)

**მშვილდოსნობა**

1. ხათუნა ქვრივიშვილი
2. ხათუნა ფუტკარაძე

**ბატუტი**

1. რუსუდან ხოფერია

**კრივი**

1. ვლადიმერ ჭანტურია (91 კგ)
2. თემურ ხურცილავა (54)

**სპორტული ტანვარჯიში**

1. ილია გიორგაძე

**მხატვრული ტანვარჯიში**

1. ინგა თავდიშვილი

**წყალში ხტომა**

1. ნანა ნებიერიძე (10 მ. კოშკურა)

**ცურვა**

1. ზურაბ ბერიძე (თავისუფალი სტილი, 50 მ)

სულ: 33 სპორტსმენი

*სპორტსმენები, რომლებმაც ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლოა მოიპოვონ სიდნეიში ასპარეზობის უფლება*

**მძლეოსნობა**

1. მაკა ობოლაშვილი
2. რუსლან რუსიძე
3. თამარ შანიძე
4. ზიგმუნდ ზილბერშტეინი
5. სერგეი ტურიატკო

*შენიშვნა: სალიცენზიო შეჯიბრება დაიწყება ბრატისლავაში (სლოვაკეთი) 8 ივლისს. ყველა შემთხვევაში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესით, 2 ადგილი გარანტირებულია — 1 გოგონა, 1 ვაჟი*

**მშვილდოსნობა**

1. ასმათ დიასამიძე

შენიშვნა: ევროპის კვოტით არის რეზერვში, გადაწყდება ივლისის I ნახევარში

**ჩოგბურთი**

1. ირაკლი ლაბაძე

შენიშვნა: მოსალოდნელია ე.წ. „ველური ბარათის“ მონაწილეობა. გადაწყდება 25 აგვისტომდე

### მწვრთნელები

**ძიუდო**

1. შოთა ხაბარელი
2. ფირუზ მარტყოფლიშვილი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

3. მერაბ დარჩია
4. ჯონი რეხვიაშვილი

**თავისუფალი ჭიდაობა**

5. ზაზა თურმანიძე
6. გიორგი გალდავა

**ძალოსნობა**

7. ივანე გრიქუროვი

**სროლა**

8. ვახტანგ სალუქვაძე

**მშვილდოსნობა**

9. თამაზ ფუტკარაძე

**კრივი**

10. სოზარ კულუა

**ბატუტი**

11. ზაურ სულაშვილი

**სპორტული ტანვარჯიში**

12. ნიკოლოზ ჭანტურია

**მხატვრული ტანვარჯიში**

13. ნანა ლონდარიძე

**წყალში ხტომა**

14. იური გუტიაკულოვი

**მძლეოსნობა**

15. თამაზ მდინარაძე

**ჩოგბურთი**

16. გივი ლაბაძე

**საქართველოს ოლიმპიელთა მოსამზადებლად საჭირო თანხის მოზიდვის მიზნით გაიხსნა სპეციალური ანგარიში:**

გაერთიანებული ქართული ბანკი, მთაწმინდის ფილიალი, ა/ა № 2700344, კოდი 220101666, სუბანგარიში 14700507 „ოლიმპიური თამაშები“

## ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობა, სამედიცინო და ადმინისტრაციული ჯგუფის შემადგენლობა

| | |
|---|---|
| 1. თამაზ იმნაიშვილი | ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი; სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი |
| 2. ვიქტორ სანეევი | ოლიმპიური ატაშე; ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი; XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი |
| 3. ელგუჯა ბერიშვილი | ოლიმპიური პრესატაშე; საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი; სეოკ-ის აღმასკომის წევრი |

**სამედიცინო ჯგუფი**

1. ზურაბ კახაბრიშვილი
2. ამირან ბრიგოლავა
3. გურამ გურგენიძე
4. ჯემალ კელიხაშვილი

**ადმინისტრაციული ჯგუფი**

| | |
|---|---|
| 1. რუსუდან აფციაური | სეოკ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი; ოლიმპიური თამაშების მზადების სამუშაო ჯგუფის წევრი |
| 2. დავით გობეჯიშვილი | სეოკ-ის აღმასკომის წევრი; საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი; ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი |
| 3. თამაზ თევზაძე | სეოკ-ის წევრი; ანტიდოპინგური მონიტორინგული საერთაშორისო კომისიის წევრი; ოლიმპიური თამაშების მზადების სამუშაო ჯგუფის წევრი |
| 4. ვლადიმერ კანკავა | სეოკ-ის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე; ქ. თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი |
| 5. მერაბ მეტრეველი | სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი; ოლიმპიური თამაშების მზადების სამუშაო ჯგუფის წევრი |
| 6. რუსუდან სიხარულიძე | სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე |
| 7. კოტე ღლონტი | სეოკ-ის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი; ოლიმპიური თამაშების მზადების სამუშაო ჯგუფის წევრი |
| 8. ლერი ხაბელოვი | სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე; ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი |

*შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენთა რაოდენობა არ მიაღწევს 36-ს (ჩოგბურთელისა და მძლეოსნების გარდა), მაშინ ადმინისტრაციული ჯგუფის რაოდენობა შემცირდება ერთი კაცით*

*2. საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის იმ წევრების ავიაბილეთების ღირებულების ანაზღაურება, რომლებიც იცხოვრებენ ოლიმპიურ სოფელში, არ მოხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ისევე როგორც ოლიმპიურ სოფელში მათი კვება, სამედიცინო უზრუნველყოფა და სხვა მომსახურებანი*

**საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელობა**

| | |
|---|---|
| 1. კახი ასათიანი | სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე |
| 2. თენგიზ ბოლქვაძე | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე |
| 3. ნონა გაფრინდაშვილი | სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტი — სეოკ-ის პრეზიდენტის სტატუსით; XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი |
| 4. ომარ გოგიაშვილი | სპორტის აკადემიის რექტორი, სეოკ-ის აღმასკომის წევრი |
| 5. ემზარ ზენაიშვილი | სეოკ-ის გენერალური მდივანი |
| 6. გივი შუღაროვი | სეოკ-ის წევრი, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე |

**საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის მონაწილენი საქართველოდან**

(არასაბიუჯეტო სახსრები)

1. ნუცა ბეჟანიშვილი
2. გიორგი წერეთელი

**ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებული ჟურნალისტები**

(არასაბიუჯეტო ხარჯები)

| | |
|---|---|
| 1. დავით ასათიანი | საქართველოს ტელევიზიის II არხი |
| 2. თამარ ბალავაძე | საქართველოს ტელევიზიის I არხი |
| 3. თენგიზ გაჩეჩილაძე | გაზეთი „ლელო“ |
| 4. ავთანდილ გურასაშვილი | გაზეთი „სარბიელი“, ჟურნალი „ოლიმპიელი“ |
| 5. თენგიზ დუმბაძე | გაზეთი „აჭარა“, აჭარის ტელემაუწყებლობა |
| 6. ალექსანდრე კოტორაშვილი | გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ |
| 7. პაატა ნაცვლიშვილი | გაზეთი „დილის გაზეთი“ |
| 8. ზურაბ უსუფაშვილი | ტელეკომპანია „რუსთავი 2“ |
| 9. გიორგი ჩოჩიშვილი | გაზეთი „დრონი“ |

*ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარი ხარჯებით შეიძლება გაემგზავროს აგრეთვე სპორტის ზოგიერთი მუშაკი, სპორტული მედიცინის ასოციაციის ხელმძღვანელები და სხვა*

# ბუბკას ჭოკმა მოიკოჭლა



ერიკა იოჰანსონი

**გუშინწინ** ლოზანის დიდი პრიზი გათამაშდა. შვეიცარიულ ქალაქში მრავალი ცნობილი მძლეოსანი გამოვიდა, რომელთაგან უპირველესი აღნიშვნის ღირსი სერგეი ბუბკაა. ტრავმების გამო საყვარელ საქმეს ბოლოჟამს მოწყვეტილი გენიალური უკრაინელი მეჭოკე გამოჩენით კი გამოჩნდა, მაგრამ დამალვა უჯობდა. სამჯერ აზტა მისთვის ყოველთვის იოლად დასაძლევ 5 მეტრსა და 60 სანტიმეტრზე და სამჯერვე თამასა ჩამოაგდო. რა ნუგეში ბუბკასთვის ეს არის, მაგრამ ლოზანაში ვერც მისმა მთავარმა კონკურენტმა, მაქსიმ ტარასოვმა იხეირა, რომელმაც 5 მეტრისა და 80 სანტიმეტრის გადალახვა ვერ მოახერხა და საპრიზო ადგილები ავსტრალიელ დმიტრი მარკოვს, ამერიკელ ჯეფ ჰარტვიგსა (უკრაინაში მესაზღვრეებმა რომ დაიჭირეს და ბუბკამ გააშვებინა) და სამხრეთაფრიკელ ოკერტ ბრიტს დაუთმო. გამარჯვებულის, ანუ მარკოვის შედეგი 5,85 მეტრი იყო.

მეორე უიღბლო ლოზანის დიდ პრიზზე კანადელი დონოვან ბეილი გამოდგა. უკრაინელისა არ იყოს, კანადელი ოლიმპიური ექსჩემპიონი ჯანმრთელობის მდგომარეობამ გამოაკლო ბოლო წლების ელიტარულ ტურნირებს. ახლახან ბეილიც დაბრუნდა, ხალხს ამცნო, ტრავმა მოვიშუშეო და ერთი ორჯერ მართლაც ისე რიგიანად ირბინა, მისი ირწმუნეს. ლოზანაში ბეილის გამოსვლა ჩავარდნად უნდა შევაფასოთ, 100 მეტრზე 10,12 წამსა და მეხუთე ადგილს სხვაგვარი დახასიათება არ ერგება, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კანადელს ნახსენები დისტანციის ასებთან მოუწია გაჯიბრება. თუნდაც ტრინიდადელი ატო ბოლდონი დავასახელოთ. ბოლდონმა ლოზანაში თავი გაიგიჟა, 9,95 წამში და ყველაზე სწრაფად გალია 100 მეტრი. დღევანდელი შედეგებით ბოლდონი ასმეტრიანზე მსოფლიოში მეორეა, მხოლოდ ვარჯიშის ამხანაგს, მორის გრინს ვერ უხერხებს ჯერჯერობით ვერაფერს, თუმცა სიდნეის ოლიმპიადამდე საკმაო დროა და იქამდე ვინ იცის... იქნებ ბეილიც ამოტივტივდეს ან თუნდაც სხვები: ნიგერიელი ფრენსის ობიკველუ (ლოზანაში 100 მეტრზე მეორე იყო 9,97 წამით), ბრიტანელი ჯეისონ გარდნერი (10,09 წამი დახარჯა და მესამე ადგილზე გავიდა)... ბოლდონი კი მართლა ფორმაში შესულა. შვეიცარიაში მან 200-მეტრიანი დისტანციაც მოიგო და ესეც გვარიანი შედეგით — 19,97 წამი. ობიკველუ ტრინიდადელს აქაც კუდში მიჰყვებოდა, ოთხი მეასედი წამითღა ჩამორჩა, ბარბადოსელმა ობადელე ტომპსონმა კი მესამემ უწია ფინიშს.

გუშინწინ იმედიანი კომენტარები გააკეთეს: მარი-ჟო პერეკმა ლოზანაშივე და მერლინ ოტიმ ლიუბლიანაში. პერეკმა 200 მეტრი ირბინა, ფინიშის გადალახვის შემდეგ გაიგო, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე საუკეთესო პირადი შედეგი უჩვენებია. შავმა ფრანგმა გაიხარა, მიუხედავად იმისა, რომ ბაჰამის კუნძულელი დები ფერგიუსონი მიიჭრა პირველად ფინიშთან და 22,43 წამით სეზონის რეკორდი დაამყარა.

„22,71 და მეორე ადგილი ამ ეტაპზე სავსებით მაძლევს ხელს — განუცხადა პერეკმა მასმედიას — თუმცა პირველ ადგილზე რომ ვერ გავედი, ცოტა მეწყინა. პირველი 120 მეტრი გადასარევად ვირბინე, მერე კი გამიჭირდა. ასე 400 მეტრზე ჩავფლავდები“. თუმცა პერეკი 400-მეტრიანის ხელახალ ათვისებასაც გეგმავს და სათანადოდაც ემზადება. სიდნეიში როგორ გამოვა, ეშმაკმა უწყის, მაგრამ ცხადია, რომ „დაღლილობის სინდრომი“, რომელიც მორბენალს სამი წელი ნერვებს უშლიდა, აღარ აწუხებს და მარი-ჟოც შეიძლება ოლიმპიადის ფავორიტებს მივათვალოთ.

ოტის კი უხარია. მას შემდეგ, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლომ ტურნირებში გამოსასვლელად მწვანე შუქი აუნთო, იამაიკელის ენთუზიაზმს საზღვარი არა აქვს, ვითომ 40-ის კი არა, ორჯერ ნაკლებისა იყოს. აი, რა უთხრა ოტიმ გუშინწინ სააგენტო „როიტერს“: „წლეულს იმაზე სწრაფად ვირბენ, ვიდრე ოდესმე და ჩემს საუკეთესო მიღწევასაც (100 მ — 10,74 წმ) უეჭველად დავამხობ. სანამ საქმე ირჩეოდა, ვღელავდი და სრული დატვირთვით ვარჯიში მიჭირდა. ახლა კი წინ და მხოლოდ წინ! დასაკარგავი არაფერი მაქვს, სიდნეიში ჩემი ბოლო ოლიმპიადა იქნება“.

ოტის სლოვენიელი სპეციალისტი სდრჟან ჯორჯევიჩი წვრთნის და მორბენალი მას დიდად აქებს, ყველანაირად მაკმაყოფილებსო.

„აქაური თბილი ამინდები ხომ მისწრებაა ჩემთვის“ — ასკვნის ოტი სააგენტო „როიტერთან“ საუბრისას და კვლავ თავისი საქმის კეთებას იწყებს.

ლოზანის დიდ პრიზზე კი საინტერესო ხალხი სხვაც ბევრი იყო. ფოტოზე მნიშვნელოვანი მომენტია აღბეჭდილი: სიგრძეზე მხტომელი შვედი ერიკა იოჰანსონი 7 მეტრსა და 4 სანტიმეტრს ფარავს. შვედს სხვა მეტოქეები ახლოსაც ვერ გაეკარნენ.

**დავით გულუა**



მარი-ჟო პერეკი (მარჯვნივ) მეორე ადგილითაც კმაყოფილი დარჩა



მარსელ ვუსტი



გაწელილ პელოტონს გარმონი გაუწელეს

# გერმანული პედლების ომი

**„ტურ დე ფრანსის“** მეხუთე ეტაპი გერმანელმა მარსელ ვუსტმა მოიგო, რომელმაც თვისტომ ერიკ ზაბელს და იტალიელ სტეფანო ძანინის აჯობა ფინალურ სპრინტში. მანამდე კი პელოტონი მხოლოდ ფინიშამდე 450 მეტრით ადრე დაეწია კიდევ ერთ გერმანელს, იენს ვოიგეტს და ჰოლანდიელ ერიკ დეკერს, რომლებმაც 150-კილომეტრიანი გაქცევა მოახერხეს.

ყვითელი მაისურა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა შეინარჩუნა, თუმცა მან 10 წამი წააგო პელოტონის მოწინავეებთან, იქ ლენს არმსტრონგი და იან ულრიხიც იყვნენ. მრბოლები ორ ნაწილად ჯგუფური წაქცევის გამო გაიყვნენ.

დღის მთავარი, ხუთკაციანი შეტევა ვანიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ განხორციელდა. თავიდან ვოიგტი და ბელგიელი სებასტიან დემარბე დაწინაურდნენ, მაგრამ მათ მალევე შეუერთდნენ ესპანელი რაფაელ მატეო, ჰოლანდიელი კოოს მოერენჰოუტი და დეკერი. ლტოლვილთა უპირატესობამ მაქსიმუმს 154-ე კილომეტრზე მიაღწია (3წთ და 43წმ). ფინიშამდე 20 კილომეტრი რჩებოდა, ვოიგტ-დეკერის დუეტმა დანარჩენი სამი თანამგზავრიც რომ ჩამოიტოვა.

პელოტონის სათავეში ჯერ „ონსეს“ წევრები იყვნენ, მერე კი წინწასულების დასაწევად სპრინტერებმაც გამოიდეს თავი. ეტაპის ლიდერთა უპირატესობამაც დნობა იწყო. ბოლო 10 კილომეტრის წინ ისინი წუთსა 5 წამსღა იგებდნენ, ვიტრემდე ხუთი კილომეტრით ადრე კი მხოლოდ 26 წამს.

მერე კი მშვენიერი სპრინტიც გაიმართა. ზაბელი თანაგუნდელებმა კარგად გამოაქანეს და მანაც, იქნებ ახლა მაინც მოვიგოო (1997 წლის შემდეგ არც ერთ ეტაპზე არ უმარჯვია), საკმაოდ ადრე წამოიწყო სპრინტი. ალბათ ვერც ვერავინ დაეწეოდა, მაგრამ ვუსტმა მშვენიერი ტაქტიკური აზროვნება გამოაჩინა. როგორც კი ზაბელი აჩქარდა და მის წინ აღარავინ დარჩა, ვუსტი სხვა მრბოლებს გამოეყო, თანამემამულეს ორიოდ წამით ბორბალში ჩაუჯდა და ზედ ფინიშის ხაზთან გადაასწრო.

32 წლის კიოლნელისთვის ეს პირველი წარმატება იყო „ტურზე“, სადაც აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს გამოსულა. დიდი ტურნირებიდან მას ყველაზე კარგად „ვუელტა“ აქვს დაცდილი, სადაც 12 ეტაპი მოუგია, „ჯიროზე“ კი მხოლოდ ერთხელ უპირველია. „ეს იყო ჩემი მიზანი. თორმეტწლიან კარიერაში „ტურის“ ეტაპის მოგებაღა მაკლდა. ახლა მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს“— განაცხადა ვუსტმა, ვისაც მეხუთე ეტაპზე სპრინტერისთვის მეტად უჩვეულო წითელკოპლებიანი თეთრი მაისურა ეცვა. უჩვეულო იმიტომ, რომ ასეთი მაისურა საუკეთესო მთიელს ერგება, საუკეთესო პეპელას კი მწვანედ მოსავენ „ტურის“ ორგანიზატორები. თუმცა ჯერ მთებამდე შორია და მთიელთა შორის საუკეთესოს ასარჩევად მცირე აღმართებს იყენებენ.

ყვითელმაისურიანმა ჟალაბერმა კი, თუ ასე ძვირი უნდა დაგვიჯდეს, საერთო ჩათვლაში ლიდერობას აღარც დავიცავთო. საქმე ისაა, რომ დიდი ხნის მანძილზე პელოტონის სათავეში ონსელები მუშაობდნენ და საკმაოდ ბევრი ენერგიაც დაუხარჯეს. შეცვლის თუ არა ტაქტიკას „ონსეს“ სპორტული დირექტორი მანოლო საისი, მომავალ ეტაპებზე გამოჩნდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეხუთე ეტაპი**

ვანი — ვიტრე, 202კმ

1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — 4სთ 19წთ 05წმ
2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3. სტეფანო ძანინი (იტალია, მაპეი)
4. ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი)
5. სალვატორე კომესო (იტალია, საეკო) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — 14სთ 28წთ 25წმ
2. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე)— +12წმ
3. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +14
4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +33
5. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, პოსტალი) — +43

## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



**ვანი** ბრეტანული ქალაქია. იგი მორბიენის დეპარტამენტის ცენტრია და დაახლოებით 55 ათასს მცხოვრებს ითვლის. შუა საუკუნეებში აგებულ ამ საპორტო ქალაქში, რომელიც პატარა ყურე მორიენის ნაპირზეა გაშენებული, ეკონომიკის განვითარებისა და ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია. ვანს ქალაქ-ბაღნარსაც უწოდებენ, 1999 წელს მან დიდი ეროვნული პრიზიც ირგუნა, როგორც ყველაზე მწვანე ფრანგულმა ქალაქმა. აქ არის საკმაოდ კარგი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიც ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.



**ბრეტანის** კარიბჭესთან, ნორმანდიის, მენის და ანჟუს შესაყართან მდებარე ვიტრე ხელოვნებისა და ისტორიის ქალაქია. შუა საუკუნეების ნაგებობებიდან უდავოდ ნოტრ-დამის ტაძარია გამოსარჩევი. 16-ათასიან დასახლებაში საკმაოდ ბევრი დიდი მნიშვნელობის კომპანიაა განთავსებული. რაც შეეხება სპორტს, ვიტრეში ეწყობა იმართება 24-საათიანი ცურვის ტურნირი და ველოსპორტში საფრანგეთის თასის ერთ-ერთი ეტაპი. იშვიათად კი „ტურიც“ გაივლის ხოლმე.

## ერთი დღის ისტორია

**6 ივლისი**

**1994 წლის** 6 ივლისს „ტურ დე ფრანსმა“ ისტორიაში მეორედ გადაკვეთა ლა მანშის სრუტე და დიდ ბრიტანეთს ეწვია. ინგლისის ქალაქ დუვრში დასრულებული ეტაპი ესპანელმა კაბელომ მოიგო, საერთო ჩათვლაში ლიდერის ყვითელი მაისურა კი იტალიელმა ვანძელამ დაისაკუთრა. თუმცა იმ დღეს სანახაობა სპორტულზე მეტი იყო. ინგლისელებს ძალიან უნდოდათ, „ტურს“ მათ ტერიტორიაზე გაევლო, რადგან ამით თავიანთ ქვეყანაში ველოსპორტის პოპულარიზაციას შეუწყობდნენ ხელს. ამიტომაც, როცა ოცწლიანი შესვენების შემდეგ საწადელს მიაღწიეს, ფული, ენერგია და ფანტაზია არ დაზოგეს. თითქმის მთელი გზის მანძილზე პელოტონს სხვადასხვა ჯურის მუსიკოსები ხვდებოდნენ. „ტურის“ მასპინძელი ყველა ქალაქი საზეიმოდ მოერთოთ, დუვრში ფინიშის შემდეგ კი გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. მრბოლთა ყველაზე დიდი მოწონება შოტლანდიელ მეზურნეთა გამოსვლამ დაიმსახურა.

# აჭამეთ შვილებს ბლინები



REUTERS ლონდონიდან

მარტინა ნავრატილოვა

### კონკია

ზემოხსენებული ზღაპრული პერსონაჟისგან განსხვავებით, საათის თორმეტჯერ შემოკვრისას ვლადიმირ ვოლჩკოვს ეტლის გოგრად ქცევის, ან უიმბლდონზე ნაშოვნი 100 ათასი გირვანქის გაქრობის საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მათ შორის საერთოც საკმაოდ ბევრია.

სამშაბათს 22 წლის ბელარუსი პირველი ჩოგბურთელი კაცი გახდა ჯონ მაკინროის შემდეგ, ვინც საკვალიფიკაციო ტურნირის გავლის მერე უიმბლდონის ნახევარფინალში გააღწია, ოდნავ მოგვიანებით კი ჩემი უცხოელი კოლეგები თავისი მონათხრობით განაცვიფრა და ისტერიკულად ახარხარა.

„ადიდასის“ შორტები და „ნაიკის“ მაისურა იმიტომ მაცვია, რომ სპორტული სამოსის კომპანიასთან კონტრაქტი არ მაქვს და რაც მომეპოვება, იმით გავდივარ ფონს. სიმართლე გითხრათ, შორტები მარატ საფინმა მაჩუქა, ეტყობა, გული მოუკვდა ჩემი ძველმანების დანახვაზე — არ დაუმალავს ვოლჩკოვს — დღევანდელი მატჩისთვის „ნაიკის“ წარმომადგენლებმა ფეხსაცმელიც მიწყალობეს, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ, ჩემი „ადიდასი“ უკვე სულს ღაფავდა.“

ბელარუსი ლონდონში თავისი თანამემამულისა და მეგობრის, მაქს მირნის ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ფულის დაზოგვის მიზნით რესტორნებშიც კი არ დადიოდა, მამამისის გაკეთებული ბლინებით იკვებებოდა და თავს მხოლოდ იმის უფლება მისცა, ახალი ამერიკული ისტორიული ფილმი „გლადიატორი“ ენახა ოთხჯერ.

„აქ რომ ჩამოვედი, მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, ერთი-ორი მატჩი მომეგო და მგზავრობისთვის საჭირო ფული მეშოვნა. ჯერჯერობით არც კი ვიცი, რაში დავხარჯავ ამდენ საპრიზოებს, თავადაც მიჭირს იმის დაჯერება, რაც ხდება.“

თუმცა გაოცებული მხოლოდ ბელარუსი როდია. ვოლჩკოვმა 1996-ში უიმბლდონზე იუნიორების ჩემპიონატში კი იმარჯვა, მაგრამ მას შემდეგ თავი არაფრით გამოუჩენია, კლასიფიკაციაშიც მხოლოდ 237-ეა და მშობლიური მინსკის გარდა მის სახელი აქამდე არსად სმენიათ.

სიმართლე გითხრათ, ბელარუსის მეოთხედფინალურ მატჩს ბაირონ ბლექთან სულ ოციოდ წუთი ვუყურე, მერე კი ცენტრალურ კორტზე გავეშურე პიტ სამპრასისა და ჟან-მაიკლ გემბილის გაცილებით საინტერესო შეხვედრის საცქერად.

მოგვიანებით, მატჩის ყველანაირი სტატისტიკური მონაცემის გადათვალიერებიდან შემიძლია დავასკვნა, რომ ვოლჩკოვს მეტად მძლავრი ფორჰენდი, ცოტა არ იყოს მოუხეშავი ორხელა ბექჰენდი და არასტაბილური მოწოდება აქვს — ორმაგ შეცდომას ის ხშირად ეისს აყოლებს. მისი ერთ-ერთი ძლიერი თვისება ფსიქოლოგიური მომზადებაცაა — მეორე ხელში 4:5-ზე ბლექს მეტად მნიშვნელოვანი მოწოდება აართვა და სეტებში ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა.

„მეგონა, განერვიულდებოდა და სულელურ შეცდომებს დაუშვებდა, მან კი პირიქით, დაძაბულ სიტუაციებში უკეთ ითამაშა... არადა, ზოგჯერ უაზროდ ცდებოდა“ — აღნიშნა თეთრკანიანმა ზიმბაბველმა.

მართლაც, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვედრილ ყოფილ საბჭოელს ხელი სულაც არ უკანკალებს და „ოლ ინგლენდ კლაბის“ კორტებზე ზედიზედ 5 საჩოგბურთო რულეტი — ტაი-ბრეიკიც მოიგო. მეოთხედფინალის საბოლოო შედეგი კი 7:6 (7:2), 7:6 (7:2), 6:4 იყო მის სასარგებლოდ.

დანაკლისის ანაზღაურებას, უიმბლდონის ისტორიაში ალბათ ყველაზე მოულოდნელ ნახევარფინალისტთან პირად ინტერვიუში შევეცადე, ოღონდ კითხვები ჩოგბურთსა და კორტზე არაფერი მიკითხავს.

**— რომელია თქვენი საყვარელი მანქანა?**

— მინსკში ძველი „ვოლვო 760“ მყავს, თუმცა დიდი ხანია, შავ „მერსედესზე“ ვოცნებობ. თუ ასე გავაგრძელებ, ალბათ შევიძენ კიდეც.

**— სწრაფად ტარება გიყვართ?**

— მიყვარს, მაგრამ მშიშარა ვარ, 150 კმ/სთ-ს როგორც კი გადავაცილებ ტრასაზე, ფეხები მიკანკალებს და მუხრუჭებს ვაწვები. ერთხელ გერმანიაში აეროპორტში მაგვიანდებოდა, მეგობარმა წამიყვანა და ლამის 250-ით ვიარეთ. თვალები დავხუჭე, მთელი გზა ცუდად ვიყავი.

**— მამის გაკეთებული ბლინების გარდა რას მიირთმევთ?**

— ძალიან მიყვარს ჩინური და იტალიური სამზარეულო, განსაკუთრებით კი მაკარონისა და ბრინჯის კერძები.

**— ჩოგბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობები გიტაცებთ?**

— ფეხბურთი, კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის თითქმის არც ერთი მატჩი არ გამომიტოვებია. ძალიან ვგულშემატკივრობდი იტალიას და მეწყინა, რომ ფინალში წააგო.

**— გყავთ თუ არა საცოლე და ჩამოვა თუ არა პარასკევს ნახევარფინალზე საქომაგოდ?**

— მას ოლია ჰქვია, ბალერინაა და მინსკში ცხოვრობს. მრცხვენია თქმა, მაგრამ მის კონცერტზე ერთხელაც არ ვყოფილვარ, კლასიკური მუსიკა და ბალეტი მაინცდამაინც არ მიყვარს. უარს არ ვიტყოდი, აქ რომ ჩამოსულიყო, მაგრამ ვიზის და ბილეთების აღებას უკვე ველარ მოასწრებს. თანაც სჯობს ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

**— თავისუფალ დროს რითი ერთობით?**

— ძალიან მიყვარს გიტარაზე დაკვრა და ამ ინსტრუმენტის სმენა, ჩემი კერპი ვლადიმირ ვისოცკი იყო. მართალია, პროფესიონალობამდე ბევრი მაკლია, მაგრამ ძალიან ვცდილობ და მასწავლებელთანაც კი დავდიოდი ერთ დროს.

### ბოზოლები

ნახევარფინალში ვოლჩკოვის გარდა თანამედროვე კაცთა ჩოგბურთის ერთბაშად სამი საუკეთესო წარმომადგენელი გავიდა — პიტ სამპრასი, ანდრე აგასი და პატრიკ რაფტერი.

ასე თუ ისე, გადატვირთული გრაფიკისა თუ წერის ციებ-ცხელების მიუხედავად, სამივეს თამაშის ხილვა მოვახერხე და უნდა აღვნიშნო, რომ ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

პიტ სამპრასი მატჩის მოსაგებად შექმნილ მანქანას უფრო ჰგავს, ბადის მეორე მხარეს მისი დანახვაც კი დამაზაფრველ გავლენას ახდენს მეტოქეებზე. შეიძლება ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ ამერიკელი კორტზე განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, არცთუ იშვიათად ცდება და ცოტასაც დარბის, მაგრამ ეს დამაბნეველი მანევრი უფროა.

„პისტოლ პიტმა“ ზუსტად იცის, როდის ჩასცეს ლახვარი მოწინააღმდეგის იმედებს მეორე მოწოდება-ეისით, როდის მოინდომოს მიღებაზე და, როგორ გამოიყენოს სხვისი სისუსტე და ნერვიულობა მნიშვნელოვანი ქულების დროს.

23 წლის თვისტომ ჟან-მაიკლ გემბილთან შეხვედრაში პიტი მთელი მატჩის განმავლობაში ჩრდილში რჩებოდა. „იაგუარების“ კოლექციონერი და სუსტი სქესის წარმომადგენელთა ფავორიტი გემბილი ხშირად ეფექტური დარტყმებით იგებდა გათამაშებებს, უკანა ხაზიდან თუ ბადესთან თამაშში მეტოქეს სჯობდა კიდეც. სამაგიეროდ, საჭირო მომენტში „პისტოლ პიტი“ მას მწარედ სჯიდა შეცდომებისთვის და თითქოს ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ სამსაათიანი მატჩი 6:4, 6:7 (4:7), 6:4, 6:4 მოიგო.

კიდევ უფრო საოცარი კი ის არის, რომ მეორე წრიდან მოყოლებული სამპრასს კოჭის ტრავმა აწუხებს. მატჩებს შორის ის იძულებულია, ფეხი მაქსიმალურად დაასვენოს, იმკურნალოს და ამის გამო არც კი ვარჯიშობს, საერთოდ, მოთელვასაც ერიდება.

„დიდი სლემის ტურნირი რომ არ იყოს, ალბათ საერთოდ არ ვითამაშებდი და ტრავმის გამიზეზებას მოვერიდებოდი. ის, რომ მსგავს ვითარებაში ადრეც აღმოვჩენილვარ, ძალიან მეხმარება, წინსვლისთვის საჭირო ძალას ვპოულობ“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე პიტმა, რომელსაც ზოგიერთი მოთამაშე თურმე თაღლითობასაც სწამებს, არაფერი სტკივაო.

ზემოხსენებული სამეულიდან ყველაზე სასიამოვნო პატრიკ რაფტერის მატჩების ხილვაა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის მისი მეტოქე, კარგად თამაშობს თუ საშინლად, ავსტრალიელი ყოველ გათამაშებაში ბოლომდე იხარჯება, ერთი შეხედვით აულებელ ბურთებსაც განწირული ოხვრით მისდევს, ბადესთან კი ეფექტური ნახტომებითა და სრულყოფილი ტექნიკით აჭარებს თვალს.

მეოთხედფინალში რაფტერს დიდი ჯაფა არ დასდგომია. [illegible] ლით მოთამაშე ნახევრადინგლისელ ალექსანდერ პოპს ნერვიულობისგან ლამის ჩოგანი გავარდნოდა ხელიდან და ბურთის კორტის ფარგლებში მოხვედრებაც უჭირდა.

რაფტერმა 6:3, 6:2, 7:6 (7:2) იმარჯვა, თუმცა საკუთარ დამსახურებას ეს ნაკლებად მიაწერა და აგასისთან ნახევარფინალურ შეხვედრაში უკეთ გარჯის აუცილებლობაზეც ისაუბრა: „მას რომ მოუგო, მუდამ კარგად უნდა აწოდებდე და თან ანდრე ცუდ გუნებაზე უნდა იყოს. იმედია, პარასკევს სწორედ ასე იქნება“.

აგასიმ კი მეოთხედფინალში მართლაც ნამდვილი შოუ მოაწყო. მარკ ფილიპუსისი გონს ვერ მოსულიყო, როგორ აჭერხებდა ხოტორა ლასვეგასელი 220 კმ/სთ-ით დარტყმული მოწოდებების უკან მიბრუნებას, თანაც ხშირად არანაკლები სისწრაფით. ამერიკელი ამავე დროს ათასნაირი შემოვლებულლებითა და აბრაგნებითაც აბრიყვებდა „სკადს“.

ფილიპუსისს სულ მალე ნამდვილი კომპლექსიც გამოუმუშავდა, მეორე მოწოდების დროს მეტოქის მიღებების ეშინოდა, ზედმეტად მონდომებული გახლდათ და შედეგად ორმაგ შეცდომებსაც უმატა.

აგასის მეტი არც არაფერი სჭირდებოდა, მეორე და მესამე სეტებში თითოჯერ აართვა მოწოდება ავსტრალიელს და 7:6 (7:4), 6:3, 6:4 მოიგო. „რაფტერი კორტზე ფილიპუსისზე გაცილებით მეტს ფიქრობს, ამიტომ მასთან ცოტა სხვაგვარად მომიწევს თამაში. საერთოდ, მოხარული ვარ, რომ მხრის ოპერაციის შემდეგ პატი ისევ ჩადგა ფორმაში. ის შესანიშნავი სპორტსმენია და ჩოგბურთს ხიბლს მატებს“.

### მარტინა დეიდას ესიამოვნა

მარტინა ნავრატილოვას წლევანდელი უიმბლდონური თავგადასავალი წყვილთა მეოთხედფინალში, ძალისმიერი ჩოგბურთის ტრადიციის გამგრძელებლებთან, დებ უილიამსებთან მატჩით დასრულდა.

მარტინამ თავი არ შეირცხვინა და ბადესთან სწრაფი რეაქციით, ზუსტი მიღებებითა და მოწოდებებით უილიამსებს პირიც დაალებინა. სუსტი მისი მეწყვილე, მარიან დე შვარდტი გამოდგა, რომელიც კორტზე მეტად სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებს დაამშვენებდა.

„თავადაც არ მეგონა, თუ თამაშით ამხელა სიამოვნებას მივიღებდი. ისე მომეწონა, რომ შეიძლება გაისადაც დავბრუნდე და აშშ-ის ღია პირველობაზეც ვითამაშო. ჩემი წლოვანების ქალისთვის მშვენივრად ვირჯები — აღნიშნა ნავრატილოვამ 6:4, 2:6, 1:6 დამარცხების შემდეგ — საუკეთესო წლებში და ფორმაში ახლანდელ ვინუსს და სერენას კი მოვუგებდი, მაგრამ მათ თავიანთი სრული შესაძლებლობები ჯერ არ გამოუვლენიათ“.



ვლადიმირ ვოლჩკოვი



REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი



REUTERS ლონდონიდან

# ოზები ლონდონში

ლონდონი, სენტ ჯეიმზის სასახლე. ავსტრალიის ფედერალური დაცვის მეომრები დათვისბეწვქუდა ბრიტანელ გრენადერთა თანხლებით გარეთ გამოდიან. ავსტრალიის ფედერალური დაცვის სამსახური სიდნეის ოლიმპიადის ნაირ-ნაირი ცერემონიალების გასაძღოლად საგანგებოდ შეიქმნა, ხოლო მწკრივში გაჯგიმვას, შამხანის ჭერასა და სხვა სასარგებლო ჩვევებს ბრიტ გრენადერებზე უკეთ ოზები ვერავისგან ისწავლიან.



REUTERS ლონდონიდან

# რკინიგზის ფეხბურთი

ტაილანდური თემა „სარბიელის“ ბოლო გვერდზე წარმატებით გრძელდება. ამას წინათ ევროფეხბურთით გატაცებულ მემასაჟე გოგოებზე მოგითხრეთ, მერე სპილოებზე თავიანთი საფეხბურთო და ინტიმური ცხოვრების დეტალებით, ახლა კი... ამ ბავშვებს „ქუჩის ფეხბურთელებს“ გაჭირვებით თუ დაუძახებს კაცი, რახან ლიანდაგებზე შემდგარან, თუმცა ფეხბურთი ყველგან ფეხბურთია. რა მაგის გაგრძელებაა და ტაილანდმა მსოფლიოს 2006 წლის მასპინძლობის საქმეში გერმანიის მხარე დაიჭირა. გერმანიამ გაიმარჯვა.

# ძროხები ტურზე

„ცხოვრება მშვენიერია... მაგრამ ხშირია მოულოდნელობანი... სასიამოვნო მოულოდნელობანი... ნაირფრად შემოსილი ეს ორფეხანი მხოლოდ ალამაზებენ ჩვენს ყოველდღიურ ყოფას. ახლა კი ძოვა და ცოხნა გავაგრძელოთ — ძროხათა მოდგმის ცხოვრების აზრი სწორედ ეს არის...“ („ტურ დე ფრანსს“ შეყრილი ძროხების ფილოსოფიური აზრებიდან).





REUTERS ლონდონიდან

# ჩურჩულები

ანა კურნიკოვა და ნატაშა ზვერევაზა ჩაცუცქულან და ჩურჩულებენ. ნაკლებად მოსალოდნელია, ახლა მათი მსჯელობის თემა იყოს ის, რომ „მხოლოდ ბურთები უნდა ხტოდნენ“, ან კიდევ სხვა რომელიმე მხიარული საკითხი; კონფიდენციალური ლაპარაკი ზედ კორტზე მიმდინარეობს, იქეთა მხარეს ფრანგი მეტოქენი დგანან და გასარჩევი ისაა, ვინ როგორ მოიქცეს და როდის რომელმა დაარტყას, თუმცა ქალებს რას გაუგებთ!... ისე, ჩურჩულები მართლაც მოდაში შემოსული ჩანს.



REUTERS ლონდონიდან

# ტრავმის მიზეზი

ჟან-მაიკლ გემბილის ტრავმირებულ ძუძუსთავს აქიმობს ამ საქმის მცოდნე კაცი. ტრავმა ფეხისა გვსმენია, თეძოსი, ხელისაც გაგვიგია, მაგრამ ძუძუსთავისა ვგონებთ პირველი შემთხვევაა უიმბლდონზე მით უფრო და, რამ გამოიწვია, რომ იკითხოთ, ირიბი პასუხიღა გვექნება: გემბილი მეოთხედფინალში სამპრასთან თამაშობდა და პისტოლ პიტის გამოტყორცნილი ბურთი კიდევ თქვენს მტერსა და დამაწყევარს მოხვდა! შეიძლება გემბილის ტრავმაც სამპრასის ნახელავია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge